განათლების, მეცნიერების და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ენა 7

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი



ავთანდილ არაბული, დალი ბენაშვილი

ქართული ენა 7

მასწავლების წიგნი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ენა
VII კლასი
მასწავლების წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორი:
ავთანდილ არაბული
თანაავტორი:
დალი ბენაშვილი

სამეცნიერო რეცენზენტი: გიორგი ალიბეგაშვილი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: თეონა ლოდია
რედაქტორი: ნანა ქირია
დამკაბადონებელი: ოთარ კიკილაშვილი
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

VII კლასის ქართული ენის მასწავლებლის წიგნი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენის სტანდარტის შესაბამისად და წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს ქართული ენის სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, მისი დანიშნულება მოსწავლის წიგნის დანერგვის ხელშეწყობაა. იგი კვალდაკვალ მიჰყვება მოსწავლის წიგნს და ასევე მასწავლებლებს სთავაზობს მრავალფეროვანი მეთოდებით წარმოდგენილ დამატებით აქტივობებსა თუ რესურსებს. აქტივობები წარმოდგენილია თავებისა და პარაგრაფების მიხედვით, რაც აადვილებს მათს დაკავშირებას საგაკვეთილო მიზნებსა და ამოცანებთან. თითოეულ თემაში მოცემულია ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებაც. მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები. გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ტიპის აქტივობას, დავალებასა თუ შეფასების რუბრიკას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სარჩევი

შესავალი..... 4
საგნის -ქართული ენა და ლიტერატურა - სწავლა-სწავლების მიზნები..... 7
ქართული ენა - საბაზო საფეხურის სტანდარტი 8
საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ნიმუში 10
სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან..... 11
I. თემატური საკითხები და მათი კავშირი სასწავლო მიზმებთან და შედეგებთან
II. ალტერნატიული და დამატებითი დავალებები კონკრეტული საკითხის შესასწავლად
III. შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალებების სცენარები
IV. შეფასების რუბრიკები
შემაჯამებელი დავალების ნიმუში და შეფასების რუბრიკა 43
მოსწავლის შეფასების პრინციპები, შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები ... 46
მასწავლებლის წიგნში მოცემული დამატებითი სავარჯიშოების პასუხები 48
ენის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების პასუხები 58

შესავალი

ძვირფასო მასწავლებლებო,

უწინარესად, მინდა სასიხარულო ინფორმაციით დავიწყო და გაუწყოთ, რომ ქართულმა ენამ, როგორც სასკოლო სასწავლო დისციპლინამ, დაიბრუნა დამოუკიდებელი საგნის სტატუსი და საბაზო საფეხურზე მისი შესწავლა წარიმართება როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსის. ვფიქრობ, ეს მოსწავლეებში გაზრდის საგნის შესწავლის მოტივაციასა და პასუხისმგებლობის გრძნობას მშობლიური ენის გაფრთხილებისა და მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით.

VII კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოს კომპლექტი აგებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ქართული ენის, როგორც დამოუკიდებელი საგნის, სწავლებისთვისაა განკუთვნილი. კოპლექტი ოთხი ერთეულისაგან შედგება. ესენია: ქართული ენა -I ნაწილი; ქართული ენა - II ნაწილი; ქართული ენა, მასწავლებლის წიგნი - I ნაწილი; ქართული ენა, მასწავლებლის წიგნი - II ნაწილი.

საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს ქართული გრამატიკის კურსის სისტემური შესწავლა, ტრადიციულად დამკვიდრებული თანმიმდევრობის მიხედვით. VII-VIII კლასებში ისწავლება მორფოლოგიის საკითხები და IX კლასში კი - სინტაქსი, უფრო კონკრეტულად, მე-7 კლასიდან იწყება ქართული გრამატიკის სისტემური კურსის შესწავლა და სახელმძთვანელოში სახელთა სწავლებასთან დაკავშირებული საკითხებია წარმოდგენილი.

VII კლასის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ორი თავისგან შედგება. პირველი თავი ერთგვარი შესავალია, რომელსაც მოსწავლე შეჰყავს „ენის სახლში“ და აზიარებს „სიტყვის ცხოვრებას“ მე-2 თავი მორფოლოგიის, კერძოდ არსებითი სახელის შესწავლას ეძღვნება - თემა: **არსებითი სახელი**. თითოეული თავი პარაგრაფებად (ქვეთემებად) იყოფა, ყველა თავს (შესაბამისად, ცალკეულ პარაგრაფსაც) წინ უძღვის თემის სწავლების მიზნები და თემატური შეკითხვები. მოსწავლის წიგნი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ქართული ენის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სტანდარტით საგნის სწავლა-სწავლების საფეხურის ბოლოს მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრულია **სწავლის შედეგისა და სამიზნე ცნებების სახით**. სტანდარტით ასევე განსაზღვრულია სამიზნე ცნებების მოცულობა, ანუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ კონკრეტულ გრძელვადიან მიზანთან მიმართებით.

სტანდარტის შინაარსი აღიწერება თემატური ბლოკებისა და თემების სახით, რომელთა კონტექსტში მიმდინარეობს მუშაობა სამიზნე ცნებებზე საფეხურის შედეგების მისაღწევად. საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს ქართული გრამატიკის კურსის სისტემური შესწავლა, შესაბამისად, თითოეულ კლასში არ ხდება ყველა თემატური ბლოკით განსაზღვრული საკითხების შესწავლა. მე-7 კლასში, საგანში - ქართული ენა - სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია ერთ თემატურ ბლოკზე - **სიტყვა და მისი სტრუქტურა**.

სტანდარტით განსაზღვრულ საფეხურის შედეგს ახლავს შეფასების ინდიკატორები, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების მიღწევების გაზომვის ინსტრუმენტია და მიანიშნებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში.

საგნის - ქართული ენა - სტანდარტი შედგება ორი ნაწილისაგან: ა) სწავლის შედეგები - წარმოდგენილია სამსვეტიანი ცხრილის სახით და მოიცავს სწავლის შედეგს, შეფასების ინდიკატორსა და სამიზნე ცნების მოცულობას. ბ) სასწავლო თემები: სავალდებულო თემატურ ბლოკებსა და სასწავლო თემების ნიმუშებს.

სახელმძღვანელო ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული და ეფუძნება ისეთი მნიშვნელოვანი სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიცაა ვარაუდების გამოთქმა, დაკვირვება, დასკვნის გამოტანა... წიგნში თეორიული მასალა წარმოდგენილია ისე,

თითქოს იგი მოსწავლის თანამოსაუბრეა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხელიხელ ჩაკიდებულები მიდიან რთული გრამატიკული საკითხების ათვისებისაკენ, ერთად იხსენებენ, ფიქრობენ, მსჯელობენ, სვამენ შეკითხვებს, სცემენ პასუხებს, გამოაქვთ დასკვნები და ბუნებრივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე თავადვე აყალიბებენ ამა თუ იმ გრამატიკულ წესს. წიგნი ხელს უწყობს ფუნქციური და ცხოვრებისეული კომპეტენციების, ასევე კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

მასწავლებლის წიგნი კვალდაკვალ მიჰყვება მოსწავლის წიგნს და წარმოადგენს ერთგვარ პრაქტიკულ პროფესიულ გზამკვლევს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს VII კლასის ქართული ენის მოსწავლის წიგნის დანერგვას. ასევე მასწავლებლებს სთავაზობს მრავალფეროვანი მეთოდებით წარმოდგენილ დამატებით აქტივობებს. ვფიქრობთ, წიგნი დაგეხმარებათ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში. ამ მიზანს ემსახურება თითოეულ თემის შესასწავლად მითითებული რესურსები, სამუშაო ტექსტები, სავარჯიშოები, გრაფიკული მაორგანიზებლები, შეფასების სქემები, თემატურ ერთეულებთან მითითებული ბმულები. თემისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირებულია როგორც კურიკულუმის ჩარჩოში, რომლებიც ათვალსაჩინოებს სახელმძღვანელოს შესატყვისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე ეს რესურსები მეორდება თემატური ერთეულის აღწერაშიც.

მასწავლებლის წიგნში თითოეული თემა აგებულია ლოგიკური ჯაჭვის - მიზანი/შედეგი/აქტივობა/შეფასება - მიხედვით და დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე. თემატურ ერთეულში აქტივობები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: წინარე ცოდნის გააქტიურება - დაკვირვება/ანალიზი - ახალი ცოდნის დაშენება/განმტკიცება - ახალი ცოდნის შემოქმედებითად გამოყენება. თითოეულ თემაში მოსწავლეები ასრულებენ 1-2 შემოქმედებითი ბუნების კომპლექსურ დავალებას, რაც დაეხმარება მოსწავლეს გრამატიკული საკითხები გაიაზროს ფუნქციურ კონტექსტში; თითოეული შემოქმედებითი ბუნების დავალება გაწერილია ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული აქტივობებითა და მრავალფეროვანი მეთოდებით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ აქტივობებსა და მეთოდებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მასწავლებელი, კლასის საჭიროების გათვალისწინებით, თავად განსაზღვრავს, რომელი მეთოდი და აქტივობა უფრო უკეთ დაეხმარება შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაში.

თითოეულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია საკმაოდ ბევრი და განსხვავებული აქტივობა და დავალება, როგორებიცაა: გრაფიკული მაორგანიზებლები, თავსატეხები, კროსვორდები, დიფერენცირებული სწავლების მეთოდი „სასწავლო მენიუ", სახალისო ლოგიკური სავარჯიშოები თამაშის ელემენტებით, მინი დისკუსიები, საკითხის შემაჯამებელი ტესტები და სხვ. რა თქმა უნდა, თითოეული საკითხის შესწავლა არ გულისხმობს ყველა სავარჯიშოს გამოყენებას. მასწავლებელი დამატებითი აქტივობების შერჩევისას ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას, საჭიროებებს და ინტერესებსა. ან თავად ქმნის ასეთ, თავის მოსწავლეებზე უფრო მორგებულ დავალებებს.

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: თვითშეფასების სქემები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კონკრეტული დავალებისათვის, მაგ.: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მოკლე რეფერატისათვის, სამეცნიერო-პოპულარული სტატისათვის, საინფორმაციო რეპორტისათვის და ა.შ. ასევე მოცემულია მოსწავლის განვითარებაზე დაკვირვების სქემა, რაც დაეხმარება მასწავლებელს, თვალი ადევნოს თითოეული მოსწავლის პროგრესს.

ქართული ენა საბაზო საფეხურზე დამოუკიდებელ საგნად ისწავლება, მაგრამ მისი გათიშვა ლიტერატურის სწავლა-სწავლების პროცესისაგან წარმოუდგენელია, ამიტომ ინტეგრაცია ლიტერატურასთან აუცილებელი და ბუნებრივი პროცესია, რადგან გრამატიკული საკითხების შესწავლა სწორედ ლიტერატურული ტექსტების გამოყენებით ხდება. წარმოდგენილ დავალებებშიც ხშირია ერთგვარი „გადაძახილი" ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან.

წიგნში მოცემულია ასევე შემაჯამებელი დავალების ნიმუში და მისი შეფასების რუბ-

რიკაც სწავლების შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ენა უკვე დამოუკიდებელი საგანია სასწავლო ბადეში და, შესაბამისად, შემაჯამებელი დავალების ჩატარების ვალდებულებაც გვაქვს.

და ბოლოს, სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფები და სავარჯიშოები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, განსხვავებული მოცულობისაა. რომელ საკითხს რამდენ საგაკვეთილო საათს დაუთმობს, ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია, რადგან მან უკეთ იცის საკუთარი მოსწავლეების სასტარტო მდგომარეობა, მზაობა და საჭიროებები. მასწავლებლის წიგნში მიწერილი საათების რაოდენობა კი მხოლოდ საორიენტაციო ხასიათს ატარებს.

სწავლა-სწავლების მიზნები[1]:

მუხლი 22. სახელმწიფო ენები

- ეროვნული და კულტურული იდენტობის ფორმირება;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობის, მიმართ ინტერესის გაღვივება, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; პატრიოტი მოქალაქის აღზრდა;
- ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილის, შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბება;
- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის, როგორც ცვლილებებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესის, გააზრება კულტურათშორისი დიალოგის საფუძველზე;
- საკუთარი მსოფლმხედველობის შემუშავება ლიტერატურასთან ზიარების გზით; ჰუმანისტური და დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნების ფორმირება;
- ქართული ენის, როგორც აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების, მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვე მრავალფეროვან ენობრივ გარემოში ორიენტირების ხელშეწყობა; საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ქართული ენის გამოყენების მიმართ გააზრებული, პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულების ფორმირება;
- ლიტერატურის, როგორც თვითშემეცნებისა და სამყაროს შეცნობის საშუალების, მნიშვნელობის გაცნობიერება;
- წარმოსახვის უნარის, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება;
- ლიტერატურასთან მუდმივად ზიარების მოთხოვნილების ჩამოყალიბება ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად, თვალსაწიერის გასაფართოებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად, გამოცდილების გასამდიდრებლად;
- მედიაწიგნიერი, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების აღზრდა.

1 ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიზნები განსაზღვრულია საგნის სწავლების სრული კურსისთვის, რომელთა მიღწევა მიმდინარეობს სწავლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო- საფეხურებზე.

ქართული ენის სტანდარტი საბაზო საფეხურზე

ა) სწავლის შედეგები

საგნის - „ქართული ენა“ - ფარგლებში საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის სამიზნე ცნების - „ენის სისტემა“ - მრავალმხრივად გააზრება.

სწავლის შედეგი	შეფასების ინდიკატორი – მოსწავლეს შეუძლია	სამიზნე ცნებების მოცულობა – მოსწავლე აცნობიერებს, რომ
(1) გრამატიკის ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს ქართული ენის უნიკალურობის გასააზრებლად, ენობრივი ფორმების სიმდიდრის/მრავალფეროვნების გასათავისებლად; მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაცნობიერებლად, სათქმელის (ზეპირისა თუ წერილობითის) გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად; გააზრებული ენობრივი არჩევანის გაკეთებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში;	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • სინტაქსური ერთეულებისა თუ გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის/დანიშნულების ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • ენობრივ-სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	სამიზნე ცნება **ენის სისტემა** ქართულ ენას, ისევე როგორც სხვა ენებს, თავისი უნიკალური გრამატიკული სისტემა აქვს. ამ სისტემას შეისწავლის გრამატიკა, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისგან. მორფოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია სიტყვათა ფორმების, მათი ცვალებადობისა და მნიშვნელობის გაგებისთვის, ასევე სიტყვაწარმოების პრინციპების გააზრებისთვის, სინტაქსის ცოდნა - სიტყვებისა და წინადადებების შეწყობა-შეკავშირებისთვის ქართულ ენაში ისტორიულად შემუშავებული წესების მიხედვით. ენის, როგორც სისტემის, ცოდნა დაგვეხმარება, რომ უკეთ გავიგოთ მოსმენილი/წაკითხული და ყველასთვის ცხადად, გასაგებად და გამართულად გადმოვცეთ სათქმელი წერითი თუ ზეპირი მეტყველების დროს. მორფოლოგია ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები: • სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება, თანდებულიანი ბრუნვები, რიცხვის წარმოება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიტები; • ზმნა - ზმნის ძირითადი კატეგორიები; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები; სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა). ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: • ზმნიზედა და მისი ჯგუფები; • თანდებული და მისი ჯგუფები; • კავშირი და მისი ჯგუფები; • ნაწილაკი და მისი ჯგუფები; • შორისდებული და მისი ჯგუფები. სინტაქსი • წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი; • სინტაქსური ურთიერთობის სახეები წინადადებაში - შეთანხმება, მართვა, მირთვა; • წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); • წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; თანწყობილი წინადადება; ქვეწყობილი წინადადება; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; ზერთული წინადადება; • განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; • პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; • სტილისტიკური ხარვეზები (მაგ.: ტავტოლოგია, სინტაქსური კალკი და მისთ.). მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენისა და მართლმეტყველების ნორმები, პუნქტუაციის წესები. ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ - სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართული ანბანი და მისი სახეები.

ბ) სასწავლო თემები

სასწავლო მასალა წარმოდგენილია ოთხი თემატური ბლოკის ფარგლებში, ესენია:

I თემატური ბლოკი - სიტყვა და მისი სტრუქტურა;

II თემატური ბლოკი - წინადადება და მისი სტრუქტურა;

III თემატური ბლოკი - ენის ისტორიის საკითხები;

IV თემატური ბლოკი - წინადადება და სტილი.

თითოეულ თემატურ ბლოკში გაერთიანებულია შესაბამისი სასწავლო თემები, რომელთა კონტექსტში მიმდინარეობს მუშაობა სამიზნე ცნებებზე საფეხურის შედეგების მისაღწევად.

VII-IX კლასები	
თემატური ბლოკი	**სასწავლო თემების ნიმუშები**
I. სიტყვა და მისი სტრუქტურა	• სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი); • სიტყვის მნიშვნელობა (მაგ.: პირდაპირი, გადატანითი, კონოტაციური); • ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის); • ზმნა - ზმნის ძირითადი კატეგორიები; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები; სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა); • სიტყვაწარმოება და მისთ.
II. წინადადება და მისი სტრუქტურა	• წინადადება მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის, ბრძანებითი); • წინადადება აგებულების მიხედვით (მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები);
III. ენის ისტორიის საკითხები	• სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; • ქართული ანბანი და მისი სახეები; • ძველი ქართული ენის თავისებურებები.
IV. წინადადება და სტილი	• განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; • პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; • რთული წინადადების გადაკეთება მარტივად და პირიქით; • სიტყვათა რიგი; • სტილისტიკური ხარვეზები (მაგ.: ტავტოლოგია, სინტაქსური კალკი).

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

კურიკულუმის სანიმუშო ჩრჩო

თემა	სამიზნე ცნება / სამიზნე ცნების მოცულობა	საკითხი	კონტექსტმაგალითები	შუალედური მიზანი-დავალების იდეა/პირობა	სასწავლო რესურსები დავალებაზე მუშაობისთვის
სიტყვათა გრამატიკული კლასები	**ცნებები: ენის სისტემა** მორფოლოგია ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები; ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები	**ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი თხზულების დაწერა თანატოლებისათვის საინტერესო და აქტუალურ თემაზე (არნ. ჩიქობავას მიმართვის - „სახელიანი ივლიდეთ" - შესწავლით მიღებული ცოდნის გამოყენებით).**	**ძირითადი:** **არნოლდ ჩიქობავა - „სახელიანი ივლიდეთ"**§1; სიტყვათა გრამატიკული კლასები §2; **დამატებითი:** ვაჟა-ფშაველა - „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი"; ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, პუბლიცისტური სტილი.	დაწერეთ თხზულება მიძღვნილი ქართული ენის დღისადმი, რომელშიც ილაპარაკებთ სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე, მისი დაცვის ამოცანებზე იმ ამოსავალი დებულების გათვალისწინებით, რომელიც, თქვენი აზრით, საინტერესო და აქტუალური იქნება თქვენი თანატოლებისათვის. თქვენი სტატიის მოსამზადებლად გამოიყენეთ არნოლდ ჩიქობავას მიმართვის -**„სახელიანი ივლიდეთ**" - შესწავლით მიღებული ცოდნა-გამოცდილება.	1. ენის სახლი და სიტყვის ცხოვრება- **არნოლდ ჩიქობავა - „სახელიანი ივლიდეთ"** სახელმძღვანელო, 1-ლი ნაწილი, გვ.9-11; 2. სიტყვათა გრამატიკული კლასები, სახელმძღვანელო ,1-ლი ნაწილი, გვ.13-16; გამომცემლობა „უნივერსალი", გვ. 196-200 e1839be18394e183a2e-183a7e18395e18394e-1839ae18394e18391e18398e183a1-e18399e-183a3e1839ae183a2e-183a3e183a0e18390.pdf
არსებითი სახელი	**ცნებები: ენის სისტემა** მორფოლოგია: სახელები (არსებითი სახელი) არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით; ბრუნება, თანდებულიანი ბრუნვები, რიცხვის წარმოება.	ქართული ენის მცირე გრამატიკული სამახსოვროს შედგენა.	**ძირითადი:** 1. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი; 2. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები; 3. ფუძეთანხმოვნიანი სახელები. ფუძის კუმშვა 4. ფუძეხმოვნიანი სახელები. ფუძის კვეცა. კუმშვა-კვეცა; 5. ბრუნების ტიპები; 6. საკუთარ სახელთა ბრუნება; 7. არსებითი სახელის რიცხვის წარმოება; 8. თანდებულიანი ბრუნვები. **დამატებითი:** ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, პუბლიცისტური სტილი.	შეადგინე ქართული ენის მცირე გრამატიკული სამახსოვრო კონკრეტული სამიზნე ჯგუფისათვის (მაგ.: უმცროსკლასელების თვის, უცხოეთში მცხოვრები თქვენი თანატოლებისათვის და მისთ.), რომელშიც წარმოდგენილი იქნება არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.	1. სახელმძღვანელო, 1-ლი ნაწილი, გვ.-28-76 გამომცემლობა „უნივერსალი", გვ. e1839be18394e183a2e-183a7e18395e18394e-1839ae18394e18391e18398e183a1-e18399e-183a3e1839ae183a2e-183a3e183a0e18390.pdf

თემატური ერთეულები და შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალებები

თავი I. სიტყვათა გრამატიკული კლასები
I თემატური ბლოკი - სიტყვა და მისი სტრუქტურა;
თემა: სიტყვათა გრამატიკული კლასები, ანუ მეტყველების ნაწილები

გრძელვადიანი მიზნები

სამიზნე ცნება: ენის სისტემა
ცნების მოცულობა: მორფოლოგია - ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები.

შუალედური მიზნები (§1,2) – 5-6 საგაკვეთილო საათი

შუალედური მიზნები და შეფასების კრიტერიუმები:

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება.

მოსწავლემ შეძლოს:
ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი თხზულების დაწერა თანატოლებისათვის საინტერესო და აქტუალურ თემაზე (არნოლდ ჩიქობავას მიმართვის -„**სახელიანი ივლიდეთ**” - შესწავლით მიღებული ცოდნის გამოყენებით).
მოსწავლეს შეუძლია:
1.1. სიტყვაფორმებისა და ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;
1.3. მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება ;
1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

დავალების პირობა
დაწერეთ თხზულება მიძღვნილი ქართული ენის დღისადმი, რომელშიც ილაპარაკებთ სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე, მისი დაცვის ამოცანებზე იმ ამოსავალი დებულების გათვალისწინებით, რომელიც, თქვენი აზრით, საინტერესო და აქტუალური იქნება თქვენი თანატოლებისათვის.
თქვენი სტატიის მოსამზადებლად გამოიყენეთ არნოლდ ჩიქობავას მიმართვის - „**სახელიანი ივლიდეთ**” - შესწავლით მიღებული ცოდნა-გამოცდილება.
შეფასების კრიტერიუმები
ნამუშევარში:
- გამოკვეთეთ შერჩეული საკითხის არსი, წარმოაჩინეთ მისი მიზეზები და შედეგები, ასევე თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ;
- ფუნქციურად გამოიყენეთ სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვათა კლასები (მეტყველების ნაწილები);
- საკუთარი თვალსაზრისის წარმოსაჩენად გამოიყენეთ გრამატიკულად მრავალფეროვანი სიტყვები და სიტყვაფორმები;
- შეარჩიეთ ლექსიკა და სტილი, რომელიც საინტერესო და შთამბეჭდავი იქნება თქვენი თანატოლებისთვის;
- დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

კონტექსტმაგალითები და დამხმარე სამუშაო რესურსები:

ძირითადი კონტექსტმაგალითი:
არნოლდ ჩიქობავა - „სახელიანი ივლიდეთ“, §1; სახელმძღვანელო, გვ.
სიტყვათა გრამატიკული კლასები §2; სახელმძღვანელო, გვ.
დამატებითი:
ვაჟა-ფშაველა - „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“;
თენგიზ სანიკიძე, ინგა სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა; § 5. პუბლიცისტური სტილი, გვ. 19-21. გვ. sanikidze-qartuli-enis-praqtikuli-stilistika.pdf
ნაციონალიზმი ენციკლოპედიური ცნობარი (კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის განმარტება ენციკლოპედიურ ლექსიკონში) 258b87280968d2b927208835c7988bf2bca59ae3.pdf
დამხმარე სამუშაო რესურსები
სამუშაო რესურსი 1. გრაფიკული მაორგანიზებელი ვენის დიაგრამა;
სამუშაო რესურსი 2. გრაფიკული მაორგანიზებელი ტექსტის ძირითადი სათქმელის ამოსაცნობად;
სამუშაო რესურსი 3. სიტყვათა გრამატიკულ კლასებზე დაკვირვება;
სამუშაო რესურსი 4. პუბლიცისტური წერილის მახასიათებლებზე დაკვირვება;
სამუშაო რესურსი 5. თვითშეფასების სქემა.

აქტივობები შემოქმედებითი ბუნების დავალებაზე სამუშაოდ:

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურება.

- გაიხსენეთ რაიმე წერილი, სტატია, ნაწარმოები, რომელშიც ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე იყო საუბარი და რომელიც საინტერესო და აქტუალური იყო თქვენი თანატოლებისთვის.
- რა პრობლემა იყო მასში წარმოჩენილი და როგორ იყო გაშუქებული იგი?
- სიტყვები, რომლებმაც განსაკუთრებით მიიქცია თქვენი ყურადღება, ახსენით რატომ?

აქტივობა 2. არნოლდ ჩიქობავას მიმართვის -„სახელიანი ივლიდეთ” - ტექსტის დეტალებზე დაკვირვება სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციის გათვალისწინებით.

- სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები;
- დამატებითი შეკითხვები:
  - ✓ ვის მიმართავდა ცნობილი მეცნიერი ამ სიტყვებით?
  - ✓ გაიხსენეთ, რა იცით დედაენის დღის შესახებ. თქვენი აზრით, რამდენად შეეფერება ეს მიმართვა 1978 წლის აპრილის განწყობილებას?
  - ✓ რატომ გადაწყვიტა მეცნიერმა იმ პრობლემებზე საუბარი, რომლებიც მიმართვის ტექსტშია წარმოჩენილი?
  - ✓ რაში ხედავს არნოლდ ჩიქობავა გამოსავალს?
  - ✓ როგორ გესმით სტატიის სათაური: „სახელიანი ივლედეთ“?
  - ✓ თქვენი აზრით, რამდენად დაგეხმარებათ ეს სტატია უკეთ გაიაზროთ სახელმწიფო ენის მნიშვნელობა, თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა მისი დაცვის საქმეში?
  - ✓ რამდენად აქტუალურია დღეს, 21-ე საუკუნეში, არნოლდ ჩიქობავას ეს სტატია? რატომ ფიქრობთ ასე?

აქტივობა 3. სათაურზე დაკვირვება.

- გაიხსენეთ, როგორ წარმოიქმნება ახალი სიტყვები და რამდენად ინარჩუნებენ ისინი ძირეული სიტყვის მნიშვნელობას;
- დააკვირდით ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს: გულოვანი/გულიანი, ყინულოვანი/ყინულიანი, ყვავილოვანი/ყვავილიანი და განმარტეთ, რა განსხვავებაა მათს მნიშვნელობებში;

- დააკვირდით სათაურში მოცემულ სიტყვას სახელიანი; რომელი სიტყვისგანაა ის წარმოქმნილი; გაიხსენეთ ამავე ფუძისგან წარმოქმნილი სხვა სიტყვები;
- წაიკითხეთ სახელმძღვანელოში მოცემული განმარტება და, მეცნიერის მიმართვის ადრესატების გათვალისწინებით, იმსჯელეთ, თუ რატომ ამჯობინა მან ამ შემთხვევაში პირველი (სახელიანი) ფორმის გამოყენება;
- თქვენ რომელ ფორმას გამოიყენებდით? ახსენით თქვენი არჩევანი.

აქტივობა 4. ტექსტის ერთ მონაკვეთში ავტორი ბრძანებს: „რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, მისთვის ყველა ენა ერთია: ის კოსმოპოლიტია და არა - ინტერნაციონალისტი.”

- ვინ მიაჩნია ავტორს კოსმოპოლიტად? ინტერნაციონალისტად?
- როგორ გესმით სიტყვა კოსმოპოლიტი? ინტერნაციონალისტი?

ა) გაეცანით ფრაგმენტს ვაჟა-ფშაველას წერილიდან „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (ამ წერილის სრული ვერსიას შეგიძლიათ გაეცნოთ მოსწავლის წიგნში QR კოდის საშუალებით).

„კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა”.

- როგორ ესმის ვაჟა-ფშაველას კოსმოპოლიტიზმი და კოსმოპოლიტობა?
- ვაჟას შეხედულებისგან განსხვავებული კიდევ როგორი გაგება ყოფილა კოსმოპოლიტიზმისა?
- რატომაა მისთვის მიუღებელი კოსმოპოლიტიზმის ამგვარი განმარტება?
- რა კავშირს ხედავს იგი კოსმოპოლიტსა და პატრიოტს შორის?
- რამდენად ეთანხმებით ვაჟა-ფშაველას პოზიციას კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებით?

ბ) გაეცანით კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზმის განმარტებას ენციკლოპედიურ ლექსიკონში:


რესურსი 1.

ინტერნაციონალიზმი ემყარება რწმენას, რომ პოლიტიკური ნაციონალიზმი უნდა გადაილახოს, რადგან მსოფლიოს ხალხებს გაცილებით მეტი რამ აკავშირებთ, ვიდრე ყოფთ. ამ მიდგომის მიხედვით, ინტერნაციონალიზმის მიზანი არის სუპრანაციონალური (ზეეროვნული) სტრუქტურის შექმნა, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხისაგან მოითხოვს პოლიტიკურ ერთგულებას, მიუხედავად რელიგიური, რასობრივი, სოციალური და ნაციონალური განსხვავებისა. ძირითადი იდეოლოგიებიდან ასეთ მსოფლმხედველობას ყველაზე მეტად ლიბერალიზმი და სოციალიზმი იზიარებენ ხოლმე, ორივემ ინტერნაციონალიზმის თავისებური მიმდინარეობა წარმოშვა.

კოსმოპოლიტიზმი (ბერძნული სიტყვიდან kosmopolites - მსოფლიოს მოქალაქე) არის იდეები და მათი შესაბამისი ქცევა, რომელიც უარყოფს ნაციონალურ და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, ეროვნულ ტრადიციებს და პატრიოტიზმს. ის აღიარებს მსოფლიო მოქალაქეობას, ხალხთა ზენაციონალურ გაერთიანებას. თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო საზოგადოების ინტერნაციონალიზაციის პროცესი, სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციის განვითარება, პიროვნებათშორისი კომუნიკაციები ნოყიერ ნიადაგს ქმნის კოსმოპოლიტური იდეების განვითარებისთვის, აყალიბებს ბევრ საერთო-საკაცობრიო ფასეულობას. მიუხედავად ამისა, ადამიანთა ცნობიერებაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, სამშობლოსადმი ბუნებრივი სიყვარულის გრძნობა, გარკვეული სახელმწიფოების სწრაფვა - მსოფლიო ინტეგრაციის საფარქვეშ განამტკიცონ საკუთარი ბატონობა და თავს მოახვიონ ერებს უცხო ფასეულობები, ზღუდავს კოსმოპოლიტიზმის გავლენას. ეს ტერმინი ... გულისხმობს ერებს შორის მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთგაგებაზე, ტოლერანტობასა და ერთმანეთზე დამოკიდებულების პრინციპზე.

აქტივობა 5. კოსმოპოლიტის, ინტერნაციონალისტისა და პატრიოტის განმარტებების გაცნობის შემდეგ განსაზღვრეთ, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან. თვალსაჩინოებისათვის შეგიძლიათ შეავსოთ ვენის დიაგრამა:

სამუშაო რესურსი 1. გრაფიკული მაორგანიზებელი ვენის დიაგრამა



აქტივობა 6. მინი დისკუსია.

დაუბრუნდით სახელმძღვანელოს მითითებას და იმსჯელეთ:

- **რატომ არის ავტორისათვის (არნოლდ ჩიქობავასთვის) მიუღებელი კოსმოპოლიტობა.**
- **როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია.**

აქტივობა 7. ტექსტის მთავარ სათქმელზე დაკვირვება/ამოცნობა.

სამუშაო რესურსი 2. ძირითადი სათქმელის ამოცნობა გრაფიკულ მაორგანიზებელზე დაყრდნობით.

I. ტექსტის შესწავლის შემდეგ შეავსეთ გრაფიკული მაორგანიზებელი.

აბზაცი	ძირითადი სათქმელი
პირველი აბზაცი	
მეორე აბზაცი	
მესამე აბზაცი	
...	

II. გაეცანით ტექსტის მთავარი სათქმელის ამოსაცნობად სახელმძღვანელოში დასმულ საკვანძო შეკითხვებს, შეადარეთ თქვენს მიგნებებს და იმსჯელეთ, რა შეიძლება იყოს ამ ტექსტის ძირითადი აზრი (თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ):

ა) ის, რომ თაობა მიდის და თაობა მოდის?
ბ) რომ ენა უკვდავია, თუკი მას ხალხი ზურგს არ შეაქცევს?
გ) რომ მშობლიური ენა ყველას უყვარს (სხვას კი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს)?
დ) ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს?
ე) ნიჭიერებას ბეჯითი შრომა უნდა უმაგრებდეს ზურგს?
ვ) მშრომელი ახალგაზრდობა ქვეყნის ბურჯია?
ზ) და სხვ.?

აქტივობა 8. ტექსტის ენაზე დაკვირვება.

სიტყვათა გრამატიკულ კლასებთან დაკავშირებული წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება.

I. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები.

- **წაიკითხეთ ტექსტის - „სახელიანი ივლიდეთ“ - გარკვეული მონაკვეთი;**
- **დააკვირდით, თქვენთვის ნაცნობ რომელ სიტყვათა კლასებს იყენებს ავტორი;**
- **რა თავისებურებების მიხედვით დაჯგუფდება ეს სიტყვები ცხრილში (თითოეულის ნიმუშად საკმარისია მაქსიმუმ 4-5 სიტყვის ამოწერა).**

სამუშაო რესურსი 3. სიტყვათა გრამატიკულ კლასებზე დაკვირვება.

სიტყვები	მაგალითი ტექსტიდან	რომელ კითხვაზე გპასუხობთ	რა ეწოდება სიტყვათა ამ ჯგუფს
საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები	ხალხი, გზა ...		
სიტყვები, რომლებიც გამოხატავს ამ საგანთა თუ მოვლენათა ნიშან-თვისებას	წარმავალი...		
საგანთა თუ მოვლენათა რაოდენობისა და რიგის გამომხატველი სიტყვები	ოთხმოცი...		
სიტყვები, რომლებიც სხვა სახელებს ენაცვლება	მისი...		
სიტყვები, რომლებიც მოქმედებას გამოხატავს	ყივის...		
სიტყვები, რომლებიც მოქმედების დროს, ადგილს, ვითარებას, მიზეზს ან მიზანს გამოხატავს	წინ...		

- **რომელ სიტყვებს იყენებს სულიერი თუ უსულო საგნებისა და მოვლენების აღსანიშნავად?**
- **რომელი სიტყვები გამოიყენება ამ საგანთა თუ მოვლენათა ნიშან-თვისების გამოსახატავად?**
- **რომელი სიტყვები მიგვანიშნებს საგანთა თუ მოვლენათა რაოდენობასა და რიგს?**
- **ტექსტში გვხვდება სიტყვები, რომლებიც სხვა სახელების მონაცვლედ გამოიყენება?**
- **რომელი სიტყვებითაა გადმოცემული საგნის მოქმედება ან/და მდგომარეობა?**
- **რომელი სიტყვები მიგვანიშნებემ მოქმედების დროს, ადგილს, ვითარებას, მიზეზსა თუ მიზანს?**
- **ეს სიტყვები ტექსტში სულ ერთი და იმავე ფორმით გვხვდება, თუ ისინი ფორმას გარკვეულწილად იცვლიან? მოიყვანეთ მაგალითები.**

II. არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები.

ტექსტში გამოყენებულ დამხმარე მეტყველების ნაწილების ფუნქციაზე დაკვირვება.

დაწყებით საფეხურზე მორფოლოგიის საკითხების შესწავლისას თქვენ უკვე გაეცანით სიტყვათა კლასებს (მეტყველების ნაწილებს). ახლა დააკვირდით ტექსტის ამ ფრაგმენტში, რომელი სიტყვები მიეკუთვნება დამხმარე სიტყვათა კლასებს და იმსჯელეთ, რა ფუნქცია აქვთ და რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი მეტყველებაში.

ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედაენა.

ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა“ აკი ვიღაცისთვის დედაენაა.

რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, მისთვის ყველა ენა ერთია: ის კოსმოპოლიტია და არა - ინტერნაციონალისტი.

ქართულ ენაზე მდიდარი მწერლობა მოგვეპოვება. ეს მწერლობა ჩვენი კულტურის დიდი ძალაა, თუკი მკითხველი და, პირველ რიგში, ახალგაზრდობა მას სათანადოდ მოეკიდება.

- **ტექსტის წარმოდგენილ ფრაგმენტში, თქვენი აზრით, რომელია დამხმარე მეტყველების ნაწილები? რატომ ფიქრობთ ასე?**
- **რა არის ამ სიტყვების ფუნქცია? მათ გარეშე რამდენად გასაგებად იქნებოდა აზრი გადმოცემული?**
- **ამათგან განსხვავებული კიდევ რომელი დამხმარე სიტყვათა კლასი იცით? რა არის მათი ფუნქცია ტექსტში? დაასახელეთ მაგალითები.**

აქტივობა 9. სიტყვათა გრამატიკული კლასები (მეტყველების ნაწილები) - არსებულ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებით საკითხის გაღრმავებული შესწავლა-გააზრება.

სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობების საშუალებით დააკვირდით სიტყვათა გრამატიკულ კლასებს და გაიაზრეთ, რა ძირითადი ნიშნები დასდებია საფუძვლად ენაში არსებული სიტყვების გრამატიკულ კლასებად დაყოფას და რისთვის არის საჭირო სიტყვების კლასებად დაყოფა.

აქტივობა 10. სიტყვათა კლასებთან დაკავშირებული ცოდნა-გამოცდილების გადამოწმება.

შეასრულეთ სახელმძღვანელოში მოცემული დავალება N1. დააკვირდით მუქი შრიფტით დაბეჭდილ სიტყვებს და ცალკე ამოიწერეთ ფორმაცვალებადი სიტყვები (ანუ მოძებნეთ ერთი და იგივე სიტყვა, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოიყენება); ასევე იპოვეთ და ამოიწერეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ყოველთვის ფორმაუცვლელად (ერთი და იმავე ფორმით) გამოიყენება.

აქტივობა 11. შესწავლილი საკითხების გათვალისწინებით დავუბრუნდეთ წინა პარაგრაფში დასმულ შეკითხვებს და გავცეთ პასუხები:

- აღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვა მეტი უნდა იყოს ტექსტში თუ სიტყვაფორმა?
- შეიძლება თუ არა ტექსტში იმდენივე სიტყვა იყოს, რამდენიც სიტყვაფორმა?
- რომელ ჯგუფს მიეკუთვნება სიტყვა, რომელიც სხვადასხვა ფორმით დასტურდება – ფორმაცვალებადს თუ ფორმაუცვლელს?
- თუ სიტყვა ტექსტში მხოლოდ ერთი ფორმით დასტურდება, ნიშნავს თუ არა ეს ავტომატურად იმას, რომ სიტყვა ფორმაუცვლელია?

აქტივობა12. ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება.

- **რა ნაწილებისგან შედგება არნოლდ ჩიქობავს წერილი? დაასახელეთ, რომელია მიმართვა, რომელი - ძირითადი ნაწილი, რომელი - დასასრული.**
- **დააკვირდით მიმართვას: „ოთხმოცი წელი... „გზა ყივის წამავალისა!“ ისაუბრეთ, თქვენი აზრით, რა მოლოდინს აღძრავს წერილის პირველივე სტრიქონები? რაზე აფიქრებს მკითხველს ეს რიტორიკული მიმართვა? რა ემოციას ბადებს მასში?**
- **მეცნიერი საკუთარ მიმართვას ასრულებს სიტყვებით: „გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, კაიკაცობაში! სახელიანი ივლიდეთ ცხოვრების გზაზე!”- რაზე აფიქრებს მკითხველს მიმართვის ამგვარი დასასრული? რა**

ემოციას ბადებს მასში?
- რა არის ტექსტის შემადგენელი ნაწილების დანიშნულება?

აქტივობა 13. პუბლიცისტური წერილის მახასიათებლებზე დაკვირვება.

სამუშაო რესურსი 4

პუბლიცისტიკის მახასიათებლები	ციტატა ტექსტიდან
თანამედროვე აქტუალური თემების განხილვა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება;	
მისი მიზანია არსებულ ვითარებაზე ზეგავლენა;	
ავტორის პოზიცია აშკარადაა გადმოცემული;	
ტექსტი მკითხველს თანამოსაუბრედ, დიალოგის მონაწილედ აქცევს;	
სიახლოვე სასაუბრო სტილთან;	
დამაჯერებელი მსჯელობა და მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა;	

აქტივობა 14. თანატოლების პრობლემებთან / აქტუალურ თემებთან დაკავშირებული ცოდნა-გამოცდილების გააქტიურება
- თქვენი აზრით, თქვენს თანატლებს რამდენად ესმით სახელმწიფო ენის მნიშვნელობა და რამდენად არიან დაინტერესებული მისი დაცვის ამოცანებით?
- რომელი მიმართულებაა უფრო აქტუალური (მაგ.: ენის სიწმინდის დაცვა, ენის პოპულარიზაცია, სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე დისკუსიის გააქტიურება და სხვ.).

მიმდინარე დავალება: პრეზენტაცია - დღის თემა.

პრესაში ან სოციალურ ქსელებში მოიძიეთ სახელმწიფო ენის მნიშვნელობასა და მასზე ზრუნვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც, თქვენი აზრით, აქტუალურია თქვენი თანატოლებისათვის; წარადგინეთ ის კლასის წინაშე. ისაუბრეთ, რით და რატომ იყო ის მნიშვნელოვანი თქვენთვის და რამ მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება თქვენზე.

აქტივობა 15. თემის შერჩევა პუბლიცისტური წერილისათვის.
- შემოთავაზებული დებულებებიდან რომელია შენთვის ყველაზე მიმზიდველი? რატომ?
- რამდენად ერთგვაროვანია შენი და შენი თანატოლების პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით? თუ აზრი და პოზიცია გაყოფილია?
- რამდენად საინტერესო იქნება ეს თემა უფროსებისათვის, მაგ.: მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის, ფართო საზოგადოებისათვის?
- რა პრობლემებს შეიძლება წააწყდე მისი გადაწყვეტის დროს, როგორ გესახება გადაჭრის გზები?
- როგორ წარმართავ შენს მსჯელობას, როგორ სტილს აირჩევ, რა ენობრივ საშუალებებს გამოიყენებ საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად?
- როგორ გამოიყენებ არნოლდ ჩიქობავას წერილზე დაკვირვებით მიღებულ გამოცდილებას შენს ნამუშევარში?

- **როგორ დაიწყებ წერილს? რაზე ილაპარაკებ ძირითად ნაწილში? როგორ დაასრულებ სტატიას?**
- **გაითვალისწინე, ვინ იქნება შენი სტატიის მკითხველი; რა იქნება ყველაზე ფასეული ანდა შთამბეჭდავი შენი თანატოლებისთვის?**

აქტივობა 16. პუბლიცისტური წერილის პირველადი ვერსიის დაწერა და სრულყოფა თვითშეფასების სქემაზე დაყრდნობით.

- **როგორ გავაუმჯობესო პირველადი ვერსია?**

სამუშაო რესურსი 5. თვითშეფასების სქემა.

პუბლიცისტური წერილი	არის	გასაუმჯობესებელია
შედგება სამი ნაწილისგან		
წარმოჩენილია თანამედროვე და აქტუალური თემა		
წარმოჩენილია ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემა/პრობლემები, შემოთავაზებულია მისი გადაჭრის გზები		
წარმოჩენილია თანატოლებისა და სხვადასხვა თაობის ადამიანების პოზიცია		
ფუნქციურადაა გამოიყენებული სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვათა კლასები (მეტყველების ნაწილები)		
საკუთარი თვალსაზრისის წარმოსაჩენად გამოყენებულია გრამატიკულად მრავალფეროვანი სიტყვები და სიტყვაფორმები		
შერჩეულია საინტერესო და შთამბეჭდავი ლექსიკა და სტილი, ახასიათებს დამაჯერებელი მსჯელობა და შეუძლია ზემოქმედება მკითხველზე		
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.		

აქტივობა 17. პუბლიცისტური წერილის საბოლოო ვერსიის დაწერა და წარდგენა.

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	მოლოდინები (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) მოსწავლეს შეუძლია:
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.	• პუბლიცისტური თხზულების შედგენისას სხვადასხვა სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ფუნქციური გამოყენება; • პუბლიცისტური წერილისათვის დამახასიათებელი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმებისა დაცვა.

თავი II. სიტყვათა გრამატიკული კლასები
I თემატური ბლოკი - სიტყვა და მისი სტრუქტურა;
თემა: არსებითი სახელი

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: ენის სისტემა **ცნების მოცულობა:** მორფოლოგია. ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელები: არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება, თანდებულიანი ბრუნვები, რიცხვის წარმოება; ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები: თანდებული და მისი ჯგუფები; მართლწერის საკითხები - აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმები.
შუალედური მიზნები:
მოსწავლემ შეძლოს: **I. არსებითი სახელისა და მისი შინაარსობრივი ჯგუფების ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის შექმნის დროს, ენობრივი ფორმების მრავალფეროვნების გასათავისებლად. (§1)- 2-3 საგაკვეთილო საათი.** **შეფასების კრიტერიუმები:** **მოსწავლეს შეუძლია:** ლექსიკური ერთეულებისა და სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება.

- **მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ, რას ხედავენ თავიანთ ირგვლივ. ჩამონათვალში, სავარაუდოდ, აღმოჩნდება როგორც საკლასო ინვენტარი, სასწავლო ნივთები, ასევე მასწავლებელი, თანაკლასელები და ფანჯრიდან დანახული გარემო.**

დასახელებულ სიტყვებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

- შემდეგ სთხოვთ, მეწყვილესთან ერთად დაუსვან კითხვები (ვინ? რა?), დაახარისხონ სიტყვები დასმული კითხვების შესაბამისად და ამოწერონ განსხვავებული ფერის ფურცლებზე;
- დააკვირდნენ ცალ-ცალკე ამოწერილ სიტყვებს, დაფიქრდნენ, კიდევ ხომ არ შეიძლება მათი დახარისხება რაიმე ნიშნის მიხედვით. დააჯგუფონ ისინი და გადაიტანონ განსხვავებული ფერის სტიკერებზე (ასე გაგრძელდება იმის შესაბამისად, რამდენი განსხვავებული ჯგუფის არსებითი სახელიც იქნება დაფიქსირებული დაფაზე/ფლიპჩართზე).
- ბოლოს: სთხოვს, გაიხსენონ, რა ჰქვია თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულ სიტყვებს და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით იმსჯელონ, ერთი და იგივე სიტყვა მხოლოდ ერთ ჯგუფს მიეკუთვნება თუ ერთდროულად რამდენიმეს.

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

მოსწავლეები ეცნობიან/იაზრებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას ნაბიჯ-ნაბიჯ. აკვირდებიან სქემებს, აფიქსირებენ წარმოდგენილ ცნებათა ლოგიკურ კავშირებს. აანალიზებენ პარაგრაფის ბოლოს წარმოდგენილ ცნებათა რუკას, იხსენებენ ნაცნობ და იმახსოვრებენ ახალ ცნებებს, ახდენენ არსებული და ახლადშეძენილი ინფორმაციის გამთლიანებას.


აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების საშუალებით (სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის)

აქტივობა 4. შეძენილი ცოდნის განსამტკიცებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ალტერნატიული დავალებები:

1. ლიტერატურის მასალასთან ინტერაქცია (შეიძლება მიუთითოთ ნებისმიერი ტექსტი, რომელსაც ამ დროს სწავლობენ ლიტერატურაში).

ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტიდან -„ლიტერატურული საღამო”- ამოიწერეთ სულიერი/უსულო, ვინ?/რა? ჯგუფის, კონკრეტული/აბსტრაქტული, საზოგადო/საკუთარი, ნივთიერებათა, მოქმედების აღმნიშვნელი არსებითი სახელები ჩამოწერეთ ისინი რვეულში. მიუწერეთ თითოეულ სახელს, აღნიშნული ჯგუფის გარდა, კიდევ რომელ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის და გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნა.


აქტივობა 5. შეავსე თავსატეხი.
ა) საზოგადო არსებითი სახელები:




1. სასწავლო დაწესებულება;
2. მასწავლებელი ანუ...
3. მოწყობილობა, რომელიც ბგერებს გამოსცემს, მაგ. ტაძარში ან/და სასწავლო დაწესებულებაში;
4. უახლოესი ადამიანი, ერთგული სანდო;
5. ნებისმიერი ტექსტის შემცველი ერთად აკინძული ფურცლები; ცოდნის, განათლებისა იარაღი;
6. ქვეყანა პიროვნებისათვის, სადაც იგი დაიბადა და მისი მოდგმის ხალხი ცხოვრობს;
7. მშობელი, ანუ ...
8. მწერალი, რომელიც წერს ლექსებს ან/და პოემებს.

ბ) საკუთარი არსებითი სახელები.

1. ზღვისპირა ქალაქი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით;
2. წიგნი, რომლითაც სწავლობ წერა-კითხვას;
3. მამაკაცის სახელი;
4. ცნობილი ქართული ხალხური სიმღერა;
5. ქვეყანა ამიერკავკასიაში;
6. ქართველი მეფე-ქალის სახელი;
7. ქართული მითოლოგიის ცნობილი გმირი, რომელიც კავკასიონზე მიაჯაჭვეს;
8. მე-20 საუკუნეში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტის გვარი.



გ) კრებითი არსებითი სახელები.



1. მოსწავლეთა ჯგუფი;
2. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთიანობა საერთო ტერიტორიით, ენით, კულტურითა და ა.შ.
3. მორწმუნე ადამიანები, რომელთაც მომსახურებას უწევს ერთი ეკლესია;
4. არაორგანიზებულად შეკრებილი ადამიანების დიდი ჯგუფი;
5. მსახიობთა გუნდი, კოლექტივი;
6. ყველა ღმერთის ერთობლიობა ან/და ცნობილი ადამიანების დასაკრძალი ადგილი;
7. ვაზის, ყურძნის ბაღი.

შენიშვნა. ამ ტიპის თავსატეხები ნებისმიერი შინაარსობრივი ჯგუფისთვიას შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა.

აქტივობა 6. არაფორმალური წერის, ე.წ. „ბრილიანტის“, გრაფიკული ინსტრუმენტით მოსწავლეები შემოქმედებითი ფორმით წარმოაჩენენ საკუთარ ცოდნას სიტყვათა კლასებთან დაკავშირებით. 1-ელ ხაზზე წერენ არსებით სახელს (სულიერი/უსულო, ვინ?/რა? ჯგუფის....) – საკვანძო სიტყვას, ბოლო ხაზზე კი საკვანძო არსებითი სახელის შემცვლელ სიტყვას/სინონიმსა და შორისდებულს (შორისდებული შეიძლება გამოიყენონ 1-ელ სიტყვასთანაც). მეორე ხაზზე წერენ ორ რიცხვით სახელს ან/და ნაცვალსახელს, მესამეზე – სამ ზედსართავ სახელს (ეპითეტს), რომლებიც ახასიათებს საკვანძო სიტყვას. მეოთხე ხაზზე – ოთხ ზმნას, რომლებიც გამოხატავენ საკვანძო სიტყვის მოქმედებებს. ანალოგიურად, ბოლოდან მეორე ხაზზე წერენ ორ ზმნიზედას, ბოლოდან მესამე ხაზზე დაწერილი სამი ზედსართავით ახასიათებენ საკვანძო სიტყვის შემცვლელს, ხოლო ბოლოდან მეოთხე სტრიქონზე დაწერილი ოთხი ზმნით გამოხატავენ საკვანძო სიტყვის შემცვლელი სინონიმის მოქმედებებს. ცენტრალურ (თავიდან მე-5) სტრიქონზე წერენ ხუთსიტყვიან ფრაზას.

არსებითი სახელი (+შორისდებული)
1. _____

რიცხვითი ან/და ნაცვალსახელი
2. _____ _____

ზედსართავი სახელი
3. _____ _____ _____

ზმნა
4. _____ _____ _____ _____

5-სიტყვიანი ფრაზა
5. _____ _____ _____ _____ _____

ზმნა
6. _____ _____ _____

ზედსართავი სახელი
7. _____ _____ _____

ზმნიზედა
8. _____ _____

არსებითი სახელი (+შორისდებული)
9. _____

(ნებისმიერ სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილთან დასაშვებია დამხმარე მეტყველების ნაწილების გამოყენება, ასევე შეუძლიათ გადაანაცვლონ სიტყვათა კლასების თანმიმდევრობა).

შუალედური მიზნები:

მოსწავლემ შეძლოს:

I. არსებითი სახელის ბრუნების ცოდნის გამოყენება მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გაცნობიერებლად, სათქმელის გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად (§2, §3)- 4-5 საგაკვეთილო საათი.

შეფასების კრიტერიუმები:

მოსწავლეს შეუძლია:

1.1. სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;

1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. გაიაზრეთ საკითხი - არსებითი სახელის ბრუნება, ბრუნვათა რაოდენობა და რიგი - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

მოსწავლეები სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალის დახმარებით იხსენებენ ბრუნებასთან დაკავშირებულ მათთვის ნაცნობ ინფორმაციას, აანალიზებენ ბრუნვათა ფუნქციას და ნიმუშის მიხედვით თხზავენ ტექსტს ერთი რომელიმე სახელის შვიდივე ბრუნვის ფორმის გამოყენებით.

აქტივობა 2. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების საშუალებით.

სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები შეიძლება გამოიყენოთ როგორც საკლასო, ასევე საშინაო დავალებებისათვის შეძენილი ცოდნის განსამტკიცებლად, ან ჩაანაცვლოთ ალტერნატიული დავალებებით.

აქტივობა 3. სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნების, ფუძის ამოცნობის წესის გახსენება სახელმძღვანელოში მოცემული სქემებისა და ცხრილების გამოყენებით.

აკვირდებიან ბრუნებასთან დაკავშირებულ მართლწერის წესებს.

აქტივობა 4. ბრუნებისა და ბრუნვის ნიშანთა მართლწერის ცოდნის შემოწმების მიზნით შეიძლება შევთავაზოთ სხვადასხვა დამატებითი სავარჯიშო.

ა) წარმოდგენილ ანდაზებში ჩასვით სიტყვები მართებული ფორმით:

1. ---------- (ქათამი) წყალი დალია და ღმერთს შეხედაო;
2. წყალწაღებული ---------- (ხავსი) ეჭიდებოდაო;
3. აქლემს ---------- (ნემსი) დაადებენ – დაწვება, აიღებენ - ადგებაო;
4. ბევრის ---------- (მდომი) ცოტაც დაკარგაო;
5. ვინც პატარა რამეს ვერ დააფასებს, ის ვერც დიდის ---------- (ფასი) მიხვდებაო;
6. ზღვა ---------- (ფაფა) იდგა, უბედურს კოვზიც არ ხვდაო;
7. ---------- (ბუტია) წილი ტკბილიაო;
8. ---------- (სინდისი) კბილები კი არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო;
9. პაპის ---------- (ნაჭამი) ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო;
10. ---------- (ბებია)გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.

ბ) წარმოდგენილ ანდაზებში მოძებნეთ მცდარი ფორმით გამოყენებული არსებითი სახელები, გაასწორეთ ხარვეზი და ჩაანაცვლეთ მართებული ფორმით:

1. აგორებული ქვა ხავს არ მოიკიდებსო;
2. შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკალათ ესობოდაო;
3. ქათამა უთხრა კვერცხსაო, ეგრე ვიყავი მეცაო. იმდენს გავედრებ ღმერთსაო, ჩემსავით გაგხდი შენცაო;
4. ხმალმა ერთი დაასვა, კალამა – ათასიო;
5. გაშავებულ სინდის ვერანაირი წყალი ვერ გაათეთრებსო;
6. უფროს თუ არ ააფასებ, უმცროსი შენც არ დაგაფასებსო;
7. არა მწამს ქინძი ქონდრათა, არც მწვანე კიტრი – გოგრათა;
8. ცხენი ლაგამა უნდა მართოს, კაცი – გონებამაო;
9. რაც კალამა დაწერა, იმას ნაჯახიც ვერ წაშლისო;
10. აქლემა თქვა: რომ არ დამაჩოქებდნენ, მთელ ქვეყანას ავიკიდებდიო.

გ) ტექსტის რედაქტირება.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ სახელის ბრუნებასა და ბრუნვის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული მორფოლოგიური შეცდომები და მთელი ტექსტი ისე გადაწერეთ, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 29 სექტემბერს სოფელ ჩუნეშში. მისი წინაპრები იმერეთის მეფის კარზე მიღებული პირები ყოფილან. მათ „ფიცის კაცებს“ უწოდებდნენ. მწერლის დედა წულუკიძეთა ოჯახის ასული იყო.

ნიკო ლორთქიფანიძემ გიმნაზის სრული კურსი დაამთავრა და ხარკოვის უნივერსტეტში ჯერ მათემატიკის, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1902 წელს კი ნიკო ლორთქიფანიძე ავსტრიაში გაემგზავრა. მის ბინას ამშვენებდა წარწერა: „პრინცი ლორთქიფანიძე“. 1907 წელს ნიკო ლორთქიფანიძე თბილისში დაბრუნდა. 1907-08 წლებში გერმანულის მასწავლებლათ მუშაობდა, რედაქტორობდა გაზეთ „ერს“, რომელიც ხელისუფლებამ დახურა ეროვნული პოზიცის გამო. 1912-25 წლებში ქუთაისში ცხოვრობდა, სადაც საადგილმამულო ბანკში დამფინანსებლათ მოეწყო და აქვე დაოჯახდა.

1910-11 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ლიტერატურა“. 1917 წლიდან მუშაობდა გაზეთ „სამშობლოს“ პასუხისმგებელ მდივნათ, მოგვიანებით კი ამავე გაზეთის რედაქტორი გახდა. 1925 წელს ნიკო ლორთქიფანიძე ტოვებს ქუთაის, ისევ თბილისში ბრუნდება და პედაგოგიურ მოღვაწეობას განაგრძობს.


ცხოვრების ბოლო წლებში მწერალი ჩუმად, უპრეტენზიოდ ცხოვრობდა. ხშირად უნახავთ შებინდებისას რუსთაველის გამზირზე მარტო მოსეირნე, ფიქრებში ჩაფლული, თვალებში ნაღველჩამდგარი. ნიკო ლორთქიფანიძის კალამა შექმნა პოეტური პროზის მინიატურები, რომლებშიც სამშობლოს ბედით სულშეძრული ადამიანის წუხილი ისმის. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში თანაბარი სიძლიერით იჩინა თავი ლირიზმა და იუმორმა, მისი თხზულებების ერთი ნაწილი ლეგენდურ-ზღაპრულ შინაარს ეფუძნება. მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა XX საუკუნის ქართული პროზის განვითარება.


ნიკო ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაის, 63 წლისა, დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, საიდანაც 1954 წელს დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

შუალედური მიზანი:
მოსწავლეს შეუძლია: **III. ფუძეთანხმოვნიანი და ფუძეხმოვნიანი არსებითი სახელების ბრუნების თავისებურებათა ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის შექმნის დროს, სათქმელის გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად (§4, §5, §6, §7). 8-9 საგაკვეთილო საათი.** **შეფასების კრიტერიუმები** **მოსწავლეს შეუძლია:** 1.1. სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; 1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა დაცვა.

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი დაფაზე დაწერს მათთვის დაწყებითი საფეხურიდან ნაცნობ ორ გრამატიკულ ტერმინს - კუმშვა და კვეცა - და სთხოვს განმარტონ, როგორ ესმით, რას მოიაზრებს ეს ტერმინები:

კუმშვა 

კვეცა 

აქტივობა 2. თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ არსებულ გამოცდილებაზე ახალი ინფორმაციის დაშენება სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობების გამოყენებით.

ფუძეზე დაკვირვება სახელმძღვანელოში მოცემული სქემებისა (სასურველია ამ ტიპის სქემები უფრო დიდი ფორმატით დაფაზე ან ფლიპჩარტზეც ჰქონდეს მასწავლებელს გამზადებული საერთო საკლასო აქტივობისათვის) და თანდართული კითხვების გამოყენებით;

აქტივობა 3. შეძენილი ცოდნის განმტკიცება.

შეძენილი ცოდნის განმტკიცების მიზნით კლასშივე შეასრულებინეთ დავალებები 1,2 (გვ. 42) და დავალება 1,2,3 (გვ. 45). ამავე მიზნით, კლასის საჭიროებიდან და მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება საბრუნებელი სიტყვების რაოდენობა გაიზარდოს/შემცირდეს, ან ჩანაცვლდეს სხვა სიტყვებით. ეს აქტივობა სასურველია შესრულდეს დაფაზე, თითოეული სიტყვის ბრუნებისას კი მოსწავლეებმა ახსნან, მოხდა თუ არა ცვლილება ფუძეში, რა ტიპის იყო ეს ცვლილება, რომელ ბრუნვებში დაფიქსირდა და რით იყო გამოწვეული. არასრული, ან არასწორი პასუხების შემთხვევაში აქტივობაში ერთვება მთლიანი კლასი.

აქტივობა 4. შეძენილი ცოდნის შემოწმება დამოუკიდებლად.

სახელმძღვანელოში მოცემული დანარჩენი დავალებები შეგიძლიათ გამოიყენოთ კლასში დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ან საშინაო დავალებად, რათა მოსწავლეებმა დამოუკიდებლადაც შეძლონ შეძენილი ცოდნის მიზნობრივი გამოყენება.

აქტივობა 5. დამატებითი დავალებები არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებით.

ა) წარმოდგენილ ანდაზებში ჩასვით სიტყვები მართებული ფორმით:

1. თუ ---------- (დედაენა) შვილებს არა ზრდი, ---------- (აკვანი) ნანას ფასი ეკარგებაო.“
2. ერთი ---------- (მერცხალი) ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო;
3. ---------- (სიბრძნე) ფასი ოქროზე მეტიაო.
4. ---------- (ტოროლა) სიმღერა ცაში ისმის, მიწაზე კი მისი ბუდე ძლივს ჩანსო.
5. ---------- (სწავლა) კაცი არ წახდებაო;
6. ---------- (მგელი) თავზე სახარებას კითხულობდნენო, ის კი მაინც ტყისკენ გარბოდაო;
7. ---------- (სიკეთე)ქვეყანა შენდება, ---------- (ბოროტება) კი ინგრევაო;
8. მზემ რომ ჩავლო, მაშინ იწყება ---------- (ციცინათელა) ზღაპარიო;
9. ----------(ობოლი) კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო;
10. თხამ დააფრუტუნა, მგელმა უთხრა: ---------- (ღმერთი) წყალობაო!
11. კარგი ---------- (სტუმარი) მოსვლა კერასაც გაუხარდებაო;
12. კარგი ვაჟკაცი ---------- (ქვეყანა) იმედიაო;
13. ---------- (ქათამი) მომჩივანს ინდოური კალთაში უნდა გყავდესო;
14. ქაჩალი ---------- (სავარცხელი) გაძვირებას სჩიოდაო;
15. ---------- (ჭინჭარი) ძირზე ჭინჭარი ამოვაო;
16. ---------- (ცოდნა) კაცი ყველგან გზას გაიკვლევსო;
17. ----------(ზამთარი) მზე ყვავილს ვერ მოიყვანს;
18. ორი ---------- (კურდღელი) მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო;
19. დროულად დაწყებული საქმე ნახევარი ---------- (ღონე) დაზოგვააო;
20. სიბრძნეს ვერ გადასწონი რაგინდა-რა---------- (ბეგარა).

ბ) წარმოდგენილ ანდაზებში მოძებნეთ მცდარი ფორმით გამოყენებული არსებითი სახელები, გაასწორეთ შეცდომა და ჩაანაცვლეთ მართებული ფორმით:

1. ცოდნათი ქვეყანა აშენდება, უცოდინარობით კი დაინგრევაო;
2. ვისაც ღმერთის ეშინია, იმისა ნუ გეშინია;
3. მგელის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ის კი მაინც ტყისკენ გარბოდაო;
4. ლეჩაქის მქსოველს გოდორის დაწვნა უკვირდაო;
5. კაცი არ წახდება სიკეთეთიო;
6. ციცინათელის ღარიბი ცეცხლით დიდი გზის გაკვლევას ნუ ეცდებიო;
7. დიდი ღონეს ქონას, მცირე მოხერხების ქონა სჯობიაო.
8. მოყვარეებს შუა აბრეშუმის ძაფია გაბმული, მტერსა და მტერს შუა - ბაწარიო;
9. უცხოეთის ვარდსაო, მშობლიური ქვეყანის ნარი მირჩევნიაო;
10. ოსტატის ხელში უბრალო სახელოსნოც ქარხანად გადაიქცევაო
11. რწმენას მქონე კაცს მთა და ბარი ვერ შეაჩერებსო;
12. მთქმელმა ერთი დააშავა, ამბავის მომტანმა ათასიო;
13. ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყანის ამომგდები;
14. კაცი ყველგან გზას გაიკვლევს ცოდნათიო;
15. ღვინოს სმასა და ჭკუის დაკარგვას შორის ერთი ნაბიჯიაო;
16. ნიგოზის ხეს ქვა ბევრი ესროლეს, მაგრამ მაინც ნაყოფი გამოიღოო;
17. შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკალად ესობოდაო.
18. როცა სიღარიბე კარზე აკაკუნებს, სიყვარული ფანჯარიდან გარბისო;
19. ჭკუით მოგებული ომი ღონეთი მოგებულს სჯობიაო.
20. ჭეშმარიტი რწმენათი მთებსაც კი გადადგამს კაციო.

აქტივობა 6. ლოგიკური სავარჯიშოები ფუძის კუმშვასა და კვეცასთან დაკავშირებით.

გაიხსენეთ რა ტიპის ცვლილებები ხდება ფუძეში ბრუნების დროს და განსაზღვრეთ, რომელი არსებითი სახელია შეუსაბამო ჩამონათვალში; ახსენით - რატომ?

1. კალამი, ფანქარი, მელანი, საღებავი;
2. წიგნი, რვეული, სურათი, ფურცელი;
3. ტომარა, ჩანთა, ბოხჩა, ფუთა;
4. გოდორი, გიდელი, სათლი, კალათი;
5. ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი;
6. ჟელე, რძე, ბეზე, პიურე;
7. ვარდი, ზამბახი, ნარგიზი, იასამანი;
8. ფაბრიკა, ფირმა, ქარხანა, მანუფაქტურა;
9. ქვეყანა, ქვეყნიერება, პლანეტა, კომეტა;
10. რიონი, თერგი, მტკვარი, ენგური.
11. კაკაო, ღვინო, სოიო, ლობიო.

აქტივობა 7. სახალისო აქტივობა -სიტყვების ფერხული

მოსწავლეები დგებიან წრეში, მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს, რომლებზეც წერია ბრუნების ტიპების მიხედვით განსხვავებული სიტყვები და მითითებულია ამ ჯგუფში რამდენი სიტყვა (წევრი) უნდა იყოს. თითოეულმა მათგანმა უნდა მოძებნოს საკუთარი სიტყვის ბრუნების ტიპის მეწყვილე და შექმნან მცირე წრე, როდესაც ყველა „წევრი" (ანუ ერთი და იმავე ბრუნების ტიპის სიტყვები) მოიყრის თავს, ისინი იწყებენ ბრუნვას.

(თუ რანდენი სიტყვა შექმნის თითოეული ბრუნების ტიპს, განსაზღვრავს მასწავლებელი მოსწავლეთა რაოდენობისა და საკლასო სივრცის გათვალისწინებით).

შუალედური მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს:

IV. ბრუნებისას საკუთარი სახელთა თავისებურებების ცოდნის გამოყენება ტექსტის ანალიზისა თუ მისი შექმნის დროს (§8). 2-3 საგაკვეთილო საათი.

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს შეუძლია:

1.1. სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;

1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მირზა გელოვანისადმი მიწერილი ლადო ასათიანის წერილის ფრაგმენტს. მოსწავლეები ტექსტში აკვირდებიან საკუთარ სახელებს და ავსებენ სქემას შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- ტექსტში დაძებნეთ საკუთარი არსებითი სახელები;
- გაიხსენეთ, რომელი სიტყვები მიეკუთვნება საკუთარი არსებითი სახელების ჯგუფს;
- შინაარსის თვალსაზრისით რა განსხვავებაა მათ შორის;
- გარდა ამ ტექსტში მოცემული საკუთარი სახელებისა, კიდევ რომელი არსებითი სახელები მიეკუთვნება საკუთარ სახელთა ჯგუფს.

“საყვარელო ძმაო მირზა!

გაგიკვირდება, ალბათ, თბილისიდან წერილს რომ გწერ, მაგრამ წუთისოფლის ბრუნვამ ასე ისურვა, და მე, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული, ისევ დავბრუნდი ტფილისს, ვარ ისე, საშუალოდ. არა მიშავს რა, დავდივარ უსამსახუროდ და უფულოდ თბილისის ქუჩებში და მაინც არ ვწუხვარ, რადგან საქართველოში ვარ, ხომ იცი სხვა საქართველო სად არის...

...კონსტანტინე ლორთქიფანიძე და დემნა შენგელაია რაღაც მოთხრობას ჩაჰკირკიტებენ. კარლო კალაძე ახლა შემოვიდა, გორში იყო, „მნათობის“ მე-9 ნომრის ჰონორარს წერს. ყოჩაღად იყავი, ყოჩაღად! ლექსები დაწერე და გამოგზავნე. მე აქ ვარ, იცოდე, ყოველ წუთს გავახსენებ შენს თავს ყველას. ახლა, მირზა, მომწერე წერილი, წერილებით მაინც ვიბაასოთ და ამასობაში ეს დროც მალე გაიარს. დღეს მივდივარ დედაშენთან, მიმაქვს შენი სურათი და გვინდა, გავახაროთ მშობელი შენი. იყავი რკინასავით.

გკოცნის შენი ძმა, ლადო ასათიანი

22 დეკემბერი,1939 წ. თბილისი.”

http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/lado_asatiani/cerilebi/tserilebi.pdf

სქემას ავსებენ ერთობლივად საერთო საკლასო აქტივობით.

საკუთარი არსებითი სახელი	რომელი ჯგუფის საკუთარი სახელია	ამ ჯგუფის სახელების სხვა ნიმუშები
ლადო	ადამიანის სახელი	თამარი, დავითი ...
ასათიანი	ადამიანის გვარი	ჭავჭავაძე, მაჩაბელი...

აქტივობა 2. არსებული ცოდნის გააქტიურება სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვებისა და სქემების გამოყენებით;

- **აკვირდებიან საზოგადო და საკუთარი სახელების პარალელურ ბრუნებას და გამოკვეთენ მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;**
- **ადარებენ საზოგადო და საკუთარი (ადამიანის/პირთა) სახელების ბრუნებას და მსჯელობენ, როგორ იცვლება/არ იცვლება ამ ჯგუფის სახელთა ფუძე და ბრუნვის ნიშნები;**
- **ასახელებენ მსგავს მაგალითებს და მათ საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებათა შესახებ;**
- **საკუთარ დაკვირვებას ადარებენ სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფის შეჯამებას და მისი გათვალისწინებით თითოეული მათგანი აბრუნებს თავის სახელს;**
- **კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით გვარების თავისებურებაზე დაკვირვების მიზნით, მასწავლებელი სთავაზობს, აბრუნონ ფუძეთა დაბოლოების მიხედვით განსხვავე-**

ბული გვარები (თანხმოვანფუძიანი, ხმოვანფუძიანი [-ე და -ა ხმოვნებზე დაბოლოებული]) და დააკვირდნენ, რა თავისებურებებს ავლენს თითოეული მათგანი მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში.

აქტივობა 3. შეძენილი ცოდნის განმტკიცება.

შეძენილი ცოდნის განმტკიცების მიზნით კლასშივე შეასრულებინეთ დავალებები 1, 2 (გვ. 64). სახელმძღვანელოში მოცემული მე-3 დავალება შეგიძლიათ გამოიყენოთ კლასში დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ან საშინაო დავალებად, რათა მოსწავლეებმა დამოუკიდებლადაც შეძლონ შეძენილი ცოდნის მიზნობრივი გამოყენება.

აქტივობა 4. საკუთარ სახელთა მართლწერის შემოწმების მიზნით შეიძლება შევთავაზოთ სხვადასხვა სავარჯიშო.

ა) ტექსტის რედაქტირება:

გალაკტიონ ტაბიძეს გამორჩეულად უყვარდა აფხაზეთი. ნატო კორსანტიის წიგნში -„გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი"-ში პოეტის აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსები, ჩანაწერები და დღიურებია თავმოყრილი. აქვეაა წარმოდგენილი გალაკტიონის აფხაზეთში გადაღებული ფოტოები, მისი ხელნაწერები და ჩანახატები აფხაზეთსა და ზღვაზე.

გალაკტიონი ტაბიძე აფხაზეთს ხშირად ლექსებსაც უძღვნიდა. იგი ამ მხარეს ხშირად სტუმრობდა. ახლობლები იგონებენ, რომ მას ფანჯრიდან ზღვისა და ჩამავალი მზეს ყურება მოსწონდა. მწერლის ფოტოარქივში დაცულ ერთ-ერთი ფოტოსურათზე მას აფხაზი მწერლების - დიმიტრ გულუას, ხუხუტი ბღაჟბას, ბაგრატ შინკუბის - გვერდით ვხედავთ.

გალაკტიონის ცნობილი ლექსის - „გამარჯობა, აფხაზეთო შენის" დაწერასთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიას იხსენებენ. გალაკტიონი გერონტ ქიქოძესთან ერთად სოხუმში ნაცნობ ოჯახს სტუმრობდა, სადაც მას მოუსმენია ქეთევან ჯაფარიძეს წაკითხული მისი ლექსი. მისით აღფრთოვანებულა გალაკტიონი და რაღაც დაუწერია ხელსახოცზე, რომელიც გორონტმა მაშინვე ჩუმად ჯიბეში ჩაიდო. ცოტა ხანში დაიბეჭდა ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთოვ, შენი". ქეთევანს სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ამ ლექსში მოხსენიებული მშვენიერი ქალი თავად იყო, რომელმაც "გადიწერა ჩუმად" მისი ლექსი...

აქტივობა 5. სახალისო-ლოგიკური სავარჯიშო.

მოსწავლეები სხდებიან/დგებიან წრეში, მასწავლებელი ამბობს ერთ საკუთარ სახელს (ადამიანის ან/და გეოგრაფიულს), შემდეგი მოსწავლე ასახელებს იმ ბგერით დაწყებულ სახელს, რომელზეც ბოლოვდებოდა წინამორბედის მიერ დასახელებული სახელის ფუძე (მაგ.: გიორგი, ილია, ამირან-ი, ნინო, ონისე, ელენე, ეთერ-ი, რატ-ი, ტარიელ-ი, ლამარა და ა.შ./ თბილის-ი, საქართველო, ონ-ი, ნინოწმინდა, ახალქალაქ-ი, ქუთაის-ი, სნო და ა.შ.). რომელი მოსწავლეც ვერ დაასახელებს შესაბამის საკუთარ სახელს, ეთიშება თამაშს.

(თამაში ემსახურება ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, უვითარებს ფუძეზე დაკვირვების უნარსა და ეხმარება არსებითი სახელის ფუძის სწორად ამოცნობაში).

აქტივობა 6.

შუალედური მიზანი:
მოსწავლემ შეძლოს **V. არსებითი სახელის რიცხვის წარმოების ცოდნის გამოყენება გააზრებული ენობრივი არჩევანის გასაკეთებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში (§9). 1-2 საგაკვეთილო საათი.** **შეფასების კრიტერიუმები** **მოსწავლეს შეუძლია:** 1.1. სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; 1.3. ენობრივ-სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება.

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვების გამოყენებით;

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - არსებითი სახელის რიცხვის წარმოება - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

- მოსწავლეები ეცნობიან/იაზრებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას; ნაბიჯ-ნაბიჯ აკვირდებიან, რა მიმართებაა მრავლობითის წარმოებასა და სახელის ბრუნებას შორის;
- ეცნობიან ნართანიანი მრავლობითის ფორმათა წარმოებას და მის როლს თანამედროვე ქართულში

აქტივობა 3. ცოდნის განმტკიცება სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების საშუალებით.

სახელმძღვანელოში მოცემული 1-ლი და მე-2 დავალება შეიძლება გამოიყენოთ საკლასო აქტივობისთვის (დავალება 1-ლი შეიძლება შესრულდეს დაფაზე, როგორც ერთგვარი ნიმუში, მე-2 კი - დამოუკიდებლად, რათა დარწმუნდეთ, რომ თითოეულმა მათგანმა გაიაზრა შესასწავლი საკითხი). მე-3 დავალება შეიძლება შესთავაზოთ შინ სამუშაოდ, რათა მეორე დღეს დავალების წარმოდგენისას იმსჯელონ, საპირისპირო მრავლობითებით ჩანაცვლებამ რა გავლენა მოახდინა ტექსტის შინაარსსა და სტილზე.

აქტივობა 4. ათვისებული ცოდნის შემოწმების მიზნით შეიძლება შევთავაზოთ ტესტი მრავალფეროვანი დავალებებით.

1. რომელ წინადადებაშია შეცდომა

ა) ქართული ანბანისა და მწერლობის შექმნიდან საუკუნეები გავიდა;
ბ) „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული ფურცელი საქართველოს დიდების დღეებს გვახსენებს;
გ) უძველეს ქართულ ხელნაწერთა რესტავრაციას ხშირად თვეები სჭირდება;
დ) მხატვრებს კვირეები სჭირდებოდათ, „ვეფხისტყაოსანი” მინიატურებით რომ შეემკოთ.

2. რომელ წინადადებაში არ არის შეცდომა.

ა) არ გავცვლი სალსა კლდებსა უკვდავებისა ხეზედა;
ბ) „ამირანია?“ - კვლავ ვკითხავ ტყეებს, და ტყე გუგუნებს: „ამირანია...“
გ) ჩემო წინაპარო, ჰაუ, რა გიქნია, საუკუნები შუბზე აგიგია!
დ) მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები.

3. დააკვირდით ანა კალანდაძის ლექსში -თანიანი მრავლობითის ფორმებს და განსაზღვრეთ, რომელ ბრუნვაშია თითოეული ეს ფორმა.

„**მთათა** მოიხადეს გვირგვინნი მეფურნი,
თვალთა სხივი მოწყდა ელვარებისაი...
ტირიან, მოთქვამენ „დედანი ზეპურნი“,
ტირიან ყვავილნი ცხარედ ველისანი...”

ა) მოთხრობითი და მიცემითი;
ბ) მიცემითი და ნათესაობითი;
გ) მოთხრობითი და ნათესაობითი;
დ) ნათესაობითია ნათესაობითი.

4. რომელ შესიტყვებაშია შეცდომა.

ა) თვალთა ნათელი;
ბ) გულთა მპყრობელი;
გ) თითა მოძრაობა;
დ) ხმათა ჩამხშობი;

5. წაიკითხეთ ალეკო შენგელიას ლექსი „ანდერძი” და განსაზღვრეთ, რომელ სტრიქონებშია გრამატიკული თვალსაზრისით ერთ-ერთი სიტყვის მრავლობითის ფორმა უმართებულოდ გამოყენებული.

ა) იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ,
იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს;
ბ) ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას,
რიჟრაჟს ვფიცავ ნისლებში, რომ იფერმკთალებს;
გ) თუ დავეცი, ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი;
დ) საქართველოს ლამაზებო, საქართველოს მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

6. რომელ წინადადებაშია შეცდომა.

ა) მწყემსებმა ფარა საძოვრიდან ჩამორეკეს და ცივ წყაროსთან დააბინავეს;
ბ) მევენახეები სათუთად კრეფდნენ მზის სხივებით გაჟღენთილ მტევნებს;
გ) მთიბავები ბალახზე მწყობრი რიტმით ამღერებდნენ ალესილ ცელებს;
დ) მინდორში გასული მხვნელები „ოროველას” სიმღერით მიუყვებოდნენ გუთანს.

7. წაიკითხეთ ფრაგმენტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა”, დაძებნეთ ნართანიანი მრავლობითის ფორმები და შეავსეთ მოცემული ცხრილი.

„გამარჯვებაო“, - რამდენჯერმე ვუთხარ დიდს, საზარელს კლდეს, მაგრამ ყური არ მიგდო,... - -ხომ არ დაგეძინა, შავ-კლდეო...! - გავუმეორე კვალად, - კაცი ვარ, სალამს გაძლევ, რატომ ბოდიშს არ იხდი?..

- ბოდიში? - სთქვა კლდემ და შუბლშეკრულმა გადმომხედა მაღლიდან, - რას ეძახით კაცნი ბოდიშს?.

- ჩვენ, კაცნი, ამას ზრდილობას ვეძახით. ბოდიშის მოხდა ვალად გვძე ადამიანის შვილთა.

- ჰმ, ჰმ, ჰმ! - გაიღიმა უგემურად, ... მთას რომ უცქერით კაცნი, მე მუდამ თვალს გადამაცილებთ თავზე, რათა ჰპოვოთ რამ სხვა, თვალთათვის საამური - ყვავილი, ბალახი და სხვა...

- ახ, რა კარგად ლაპარაკობ; რომ ჩამოხვიდოდე სოფლად და კაცთა შორის დაიწყებდე საუბარს, რა დიდს მადლს იზამდი! როცა დაინახავდენ - კლდე ლაპარაკობსო, მთლად სმენად გადაიქცეოდენ ადამიანის შვილნი; შენ შეგეძლო ანგელოზებად გარდაგექმნა კაცნი.

- მე რას ვიტყვი ისეთს, შენც არ შეგეძლოს იმისი თქმა?

- რისა, მაგალითად?

- მხოლოდ სამი სიტყვისა: გიყვარდეთ კაცნო, ერთმანერთი! ...პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ვეღარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან, როგორც ჩემს მკერდზე ვერაფერი ამოშლის წყალთა და ზვავთა ნაკვალევს. ანუ, ... იქცეს ერთ, მხოლოდ ერთ სიტყვად - გიყვარდეს.

ფრაზა ტექსტიდან	**ბრუნვა**	**მისი შესატყვისი -ებიანი მრავლობითის ფორმა**
რას ეძახით **კაცნი** ბოდიშს?	სახელობითი	რას ეძახით **კაცები** ბოდიშს?

8. რომელ წინადადებაშია შეცდომა.

ა) ერეკლე I-მა ერთგული სამსახურისთვის ჭავჭავაძებს წინანდლის მამული უბოძა;
ბ) ასათიანების წინაპრები ლეჩხუმში სვანეთიდან მოსულებად ითვლებიან;
გ) წერეთლები ქართლიდან იმერეთში შემოსევების შემდეგ უნდა გადმოსულიყვნენ;
დ) მკვლევართა ნაწილის აზრით, რაზიკაშვილები მოდიან ღუდუშაურებისგან.

9. რომელ წინადადებაშია შეცდომა.

ა) საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მდიდარია მინერალური წყლებით;
ბ) საქართველოს ტერიტორიულ წყლებს სანაპირო დაცვის დეპარტამენტი აკონტროლებს;
გ) მთებსა და ხეობებში მიმალული შიდა წყლები ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა;
დ) უდაბნოს მგზავრებისათვის წყლების ყოველი ყლუპი ოქროზე ძვირად ფასობს.

10. რომელ წინადადებას შეიძლება ჩაენაცვლოს -ებიანი მრავლობითის ფორმა სიტყვა ახალგაზრდობას?

ა) ეს ძველი ფოტოალბომი ჩემი **ახალგაზრდობის** საუკეთესო მოგონებებს ინახავს;
ბ) მას, ასაკის მიუხედავად, მაინც შერჩენოდა **ახალგაზრდობის** დროინდელი შემართება;
გ) ეს საგანმანათლებლო პროექტი ეხმარება **ახალგაზრდობას** ნიჭისა რეალიზებაში;
დ) მწერალმა ახალგაზრდობის წლები სამშობლოდან შორს, უცხოეთში გაატარა.

შუალედური მიზანი:
მოსწავლემ შეძლოს:
VI. თანდებულების ფუნქციისა და თანდებულებისა და ბრუნვის ნიშნების ურთიერთზეგავლენის ცოდნის გამოყენება; ცოდნის მიზნობრივი გამოყენება ტექსტის შექმნის დროს (§10). 2-3 საგაკვეთილო საათი.
შეფასების კრიტერიუმები
მოსწავლეს შეუძლია:
1.1. სიტყვაფორმების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;
1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. არსებული ცოდნის გააქტიურება სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვების გამოყენებით;

აქტივობა 2. გაიაზრეთ საკითხი - არსებითი სახელის რიცხვის წარმოება - სახელმძღვანელოში მოცემული ნაბიჯების დახმარებით.

აქტივობა 3. სახელმძღვანელოში მოცემულ სქემებზე დაკვირვებით ჩამოაყალიბეთ თანდებულებთან დაკავშირებული მართლწერის წესები;

აქტივობა 4. ცოდნის განმტკიცება სახელძღვანელოში მოცემული დავალებების დახმარებით.

აქტივობა 5. თანდებულების მართლწერასთან დაკავშირებული ცოდნის შემოწმება ტესტური დავალებებით:

1. რომელ წინადადებაში არ არის შეცდომა.

ა) გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა სოფელ ჭყვიში;
ბ) გალაკტიონის დედა მაკრინე დაიბადა სოფელ საპაიჭოში;
გ) გალაკტიონი სწავლობდა სასულიერო სასაწავლებელში ქუთაიში;
დ) მოგვიანებით სწავლა განაგრძო თბილიში, სასულიერო სემინარიაში

2. რომელ წინადადებაში არა არის შეცდომა.

ა) აკაკი წერეთელმა ბავშვობა სხვიტორში და სავანეში გაატარა;
ბ) აკაკი წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზე XIX ს. 60-იან წლებში გამოვიდა;
გ) აკაკის ძმამ პეტერბურგიდან ბარათან ერთად ფოტოსურათებიც გამოგზავნა;
დ) დარეჯან ბატონიშვილი აკაკის დედას შვილსავით ზრდიდა

3. რომელ წინადადებაშია თანდებული უმართებულოდ ნახმარი.

ა) აკაკის დაბადებით გახარებულ როსტომ წერეთელს სასახლიდან გაგდებული შინაყმა შეურიგებია;
ბ) აკაკის დედამ, ქართველ ქალის ხელიდან რაც გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა;
გ) სავანე საჩხერეზე შორს არ არის: ჩვენი სახლისგან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება;
დ) ძველად სახელმძღვანელო წიგნები ცოტა იყო, სულ რამოდენიმე და ერთიმეორისაგან ვთხოულობდით.

4. რომელ წინადადებაშია თანდებული არასწორად ნახმარი.

ა) სვეტიცხოვლის ორნამენტებში წამყვანი ადგილი უკავია ვაზზე, მის ფოთლებსა და მტევნებზე შექმნილ ჩუქურთმებს.
ბ) ზაზა თავაქარაშვილის მინიატურები „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის არაერთ გვერდზე გვხვდება.
გ) ყინწვისის ანგელოზზე ამავე სახელწოდების ნოველაში ლევან გოთუამ მშვენიერი, მხატვრული ლეგენდა შექმნა.
დ) დარიალის ხეობიდან მცხეთისკენ მომავალი მთავარი სავაჭრო და სამხედრო გზა არმაზე გადიოდა.

5. რომელ წინადადებაში არ არის შეცდომა.

ა) დმანიში აღმოჩენილ პირველყოფილ ადამიანებს მეცნიერები ხშირად პირველ ევროპელებს უწოდებენ;
ბ) ვანის არქეოლოგიური გათხრები ანტიკური კოლხეთის დიდებულ მატიანესავით ცოცხლდება ჩვენს თვალწინ;
გ) ბოლნიში მდებარეობს V საუკუნის უმნიშვნელოვანესი ტაძარი, რომლის კედლებზეც უძველესი წარწერებია შემონახული.
დ) ვარძიის კლდეში ნაკვეთი ქალაქი საინჟინრო და არქიტექტურულ მარგალიტისავით ბრწყინავს ქართულ კულტურაში.

6. დააკვირდით ანა კალანდაძის ლექსში თანდებულიან ფორმებს და განსაზღვრეთ, რომელ ბრუნვაშია თითოეული ეს ფორმა.

„იდუმალების ბურუსით მოცულთ
მიუპყართ ყური, ო, თქვენც მიხედეთ, -
სამარადისოს ჩურჩულებს ვიღაც...
გორიდან თითქმის უფლისციხემდე!”

ა) მოქმედებითი, ვითარებითი;
ბ) ნათესაბითი, ვითარებითი;
გ) ნათესაობითი, მოქმედებითი;
დ) სახელობითი, ვითარებითი.

7. რომელ შესიტყვებაშია შეცდომა.
ა) წყალსავით სუფთა;
ბ) ჩიტისავით თავისუფალი;
გ) გზისკენ თვალის დაჭერა;
დ) ენისათვის კბილის დაჭერა.

8. რომელ წინადადებაშია თანდებული არასწორად ნახმარი.
ა) კაცი გულმონდომილი და მოწადინებული უნდა მივიდეს ცოდნის კარამდის;
ბ) მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამგვარის სიტყვებით იოლად მივდივართ;
გ) ზნე იმისთანა მტერია, ყოველგან თან დაგდევსო, სიკვდილის კარამდინაო“.
დ) სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული.

9. გალაკტიონ ტაბიძის ლექსების სათაურებში მოცემული თანდებულიანი ბრუნვის ფორმები დაალაგეთ შესაბამისი ბრუნვათა მიხედვით.
„წამყე ბეთანიისაკენ...“, „შეშლილივით დააღებს კარებს...“, „შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“, „აგერ კიდევ ცეცხლამდის...“, წიწამურში რომ მოჰკლეს ილია...“

სახელობითი ----------
მიცემითი ----------
ნათესაობითი ----------
მოქმედებითი ----------
ვითარებითი ----------

10. ყურადღებით წაიკითხეთ თანდებულის მართლწერასთან დაკავშირებული წესები და განსაზღვრეთ: დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, მცდარია თუ არასაკმარისი ინფორმაციაა.
(მოცემული დებულებები შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ სხვა წესებით, განსხვავებული ფორმულირებითა და რაოდენობით)

N	დებულება	ჭეშმარიტია	მცდარია	ნაკლულია
1	თანდებულები ქართულში 5 ბრუნვის ფორმას დაერთვის.			
2	თანდებულები ქართულში სახელის ფუძესთან შერწყმულად იწერება.			
3	-ვით თანდებული ორ ბრუნვაში გვხვდება.			
4	მიცემით ბრუნვას დაერთვის როგორც ფუძესთან შერწყმული, ასევე ცალკე მდგომი თანდებულები.			
5	ნათესაობით ბრუნვაში თანდებულები მხოლოდ ფუძის გავრცობილ ფორმას დაერთვის.			
6	მოქმედებით ბრუნვაში გვხვდება მხოლოდ ფუძესთანშერწყმული თანდებულები -ურთ და -დან.			
7	ვითარებით ბრუნვაში თანდებულის დართვისას ნარჩუნდება ბრუნვისნიშნისეული ა ხმოვანი.			
8	ცალკემდგომი თანდებულები გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში.			
9.	ნათესაობით ბრუნვაში თანდებული -თანავე მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს დაერთვის.			
10.	თანდებული დამხმარე სიტყვაა და ის ცალკე სიტყვათა კლასს არ ქმნის.			

შუალედური მიზანი: 3-4 საგაკვეთილო საათი

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. ქართული ენის მცირე გრამატიკული სამახსოვროს შედგენა.

მოსწავლეს შეუძლია:

1.1. სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად;

1.3 მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება;

1.4. მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

დავალების პირობა

შეადგინე ქართული ენის მცირე გრამატიკული სამახსოვრო კონკრეტული სამიზნე ჯგუფისათვის (მაგ.: უმცროსკლასელებისთვის, უცხოეთში მცხოვრები თქვენი თანატოლებისათვის და მისთ.), რომელშიც წარმოდგენილი იქნება არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

ნამუშევარში:

- წარმოაჩინეთ არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა;
- კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე გამოიტანეთ სათანადო დასკვნები;
- დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნები ჩამოაყალიბეთ წესის/დებულების სახით;
- წერისას დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

კონტექსტმაგალითები და დამხმარე სამუშაო რესურსები:

ძირითადი კონტექსტმაგალითები:
თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნება (§2-6);
საკუთარ სახელთა ბრუნება (§ 8);
არსებით სახელთა რიცხვის წარმოება (§9);
თანდებულიანი ბრუნვები (§10)
დამატებითი: წერილების ნიმუშები (იმიტირებული);
უმცროსკლასელთა წერითი ნამუშევრები (იმიტირებული).
დამხმარე სამუშაო რესურსები
სამუშაო რესურსი 1. მაორგანიზებელი სქემა - შეცდომათა ტიპები.
სამუშაო რესურსი 2. თვითშეფასების სქემა.

აქტივობები და რესურსები:

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გააქტიურება.

- გაიხსენეთ, რაიმე ტიპის სამახსოვრო თუ შეგიდგენიათ/შეგივსიათ; რას ეხებოდა იგი?
- რა საკითხებს ეხებოდა ის და როგორ იყო სტრუქტურირებული?
- რამდენად პრაქტიკულია სხვადასხვა ტიპის სამახსოვროები? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.
- როგორ გესმით სიტყვა „სამახსოვრო“ და რამდენად ხედავთ ასეთი სამახსოვროს საჭიროებას პრაქტიკული თვალსაზრისით?
- ქართული ენის სამახსოვრო მხოლოდ სასწავლო რესურსად წარმოგიდგენიათ, თუ მიგაჩნიათ, რომ ის ღირებული იქნება ფართო საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის?

აქტივობა 2. გონებრივი იერიში (საერთო საკლასო აქტივობა).

სახელმძღვანელოში მოცემული შესწავლილი თემის - არსებითი სახელი - გათვალისწინებით, დაფაზე/ფლიპჩართზე ჩამოწერეთ შეცდომები, რომლებიც ყველაზე ხშირად დასტურდება თავად მათი და მათი თანატოლების წერითი თუ ზეპირი მეტყველების დროს ან/და ხვდებათ სოციალურ ქსელებში, მედიაში, უფროსების მეტყველებაში და ა.შ.

აფიქსირებენ ყველა ვერსიას და შემდეგ მსჯელობენ თითოეული პუნქტის აქტუალობაზე.

აქტივობა 3. ინფორმაციის დახარისხება.

იხსენებენ თემის - არსებითი სახელი - ფარგლებში შესწავლილ საკითხებს და მსჯელობენ:

- თითოეული ენობრივი ნორმის დარღვევა რომელი გრამატიკული საკითხის ცოდნასთანაა დაკავშირებული;
- რა უნდა იცოდნენ, რომ არ დაუშვან მსგავსი ხარვეზები;
- რას ურჩევენ თავიანთ თანატოლებს, უმცროსკლასელებსა და ზოგადად ფართო საზოგადოებას - როგორ გამოიყენონ თეორიული ცოდნა წერითი და ზეპირი მეტყველების დროს;
- რა ფორმით შეიძლება მიეწოდოს საზოგადოებას ეს ნორმები, რომ ეფექტური და შედეგიანი იყოს.

აქტივობა 4. ტექსტის რედაქტირებაზე მუშაობა.

კლასი იყოფა 4-5-მოსწავლიან ჯგუფად (ჯგუფებად განაწილებისას მასწავლებელი ითვალისწინებს კლასში მოსწავლეთა რაოდენობას, ინტერესებსა და მზაობას).

- თითოეული ჯგუფი ეცნობა იმპროვიზირებულ ტექსტებს (ემიგრანტის წერილი, უმცროსკლასელის ნამუშევარი);
- ახდენს ტექსტის რედაქტირებას და აფიქსირებს ხარვეზებს;
- მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზების მიზნით ავსებენ შეთავაზებულ სქემას.

ა) I ემიგრანტი თანატოლის წერილი (იმიტირებული).

„გამარჯობა, ირაკლივ,

არ ვიცი, რამდენი ხანია არ მომიწერია. აქ დრო უცნაურად გადის — ხან ძალიან სწრაფად გარბის, ხან კიდევ ისე იწელება, თითქოს ეს ჩვეულებრივი დღები მთელი საუკუნებია.

ხშირად მახსენდება საღამოობით ჩვენი უბანის სკვერში ჯდომა, მუსიკას მოსმენა და უაზრო რაღაცებზე სიცილი. აქ ასეთი რამ საერთოდ არ ხდება. სკოლის მერე ყველა მაშინვე თავის სახში მიდის, თავისთვისაა. თავიდან ძალიან მიჭირდა. ენა კი ვიცოდი (ასე მეგონა), მაგრამ, როცა ყველა სწრაფად ლაპარაკობს, თავის ჟარგონებს იყენებს და ხუმრობს, თავს აუტსაიდერათ გრძნობ. უბრალოდ იღიმი და თავს აქნევ, თითქოს ყველაფერი გესმის.

თუმცა ნელ-ნელა ვეჩვევი. ერთი თანაკლასელი გავიცანი, ხანდახან ერთად ვუსმენთ ხოლმე ახალ ალბომებს. მაგრამ მაინც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ორ სამყაროსშორის ვარ გაჭედილი. აქაურებისთვის მაინც „ის ახალი, უცხოელი ბიჭი“ ვარ, არადა ჩემი ქვეყანიდან უკვე წამოსული ვარ. ხანდახან კი ეჭვისავით გამიელვებს გონებაში, რომ, როცა ჩამოვალ, ყველაფერი შეცვლილი დამხვდება და მანდ ჩემი ადგილი აღარ იქნება-მეთქი.

აქაური ამბავის გაგებაც გენდომება ალბათ, გეტყვი — სკოლა ძალიან ტექნოლოგიურია, საინტერესო წრებიც აქვთ და სპორტზეც შევედი, რომ ცოტა აზრზე მოვიდე. ხანდახან უბრალოდ მინდება, ჩემს ძველ ოთახში ვიღვიძებდე და ვიცოდე, რომ ხუთ წუთში შენთან ჩამოვალ სალაპარაკოთ.

მომწერე, რა ხდება სკოლაში? აბსოლუტურად ყველაფერი მომიყევი, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი მაინტერესებს. იმედია, მალე გნახავ — ზაფხულის არდადეგებზე ჩამოსვლას ვგეგმავთ.

შენი გიორგი.

II ემიგრანტი თანატოლის წერილი (იმიტირებული)

საყვარელო მართავ,

უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც აეროპორტში ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მახსოვს, მაშინ მითხარი, რომ „ტექნოლოგიების ეპოქა"-ში მანძილი აღარაფერს ნიშნავსო, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეკრანს არ შეუძლია ცოცხალი ურთიერთობას შეცვლა.

ჩემი ახალი ცხოვრება ძალიან ჰგავს ფილმს, რომელშიც ხმა გამორთულია და მხოლოდ კადრები მოძრაობს. გარშემო ყველაფერი მოწესრიგებული, ლამაზი და ფერადია, მაგრამ ჩემთვის მაინც უცხოა. სკოლაში თავი ისე მიჭირავს, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თუმცა რეალურად ორმაგი ენერგის დახარჯვა მიწევს: ჯერ ერთი, რომ მასწავლებელების ნათქვამი სიტყვასიტყვით გავიგო და მეორე — ჩემი ემოციები როგორმე სწორად გამოვხატო. ყველაზე მეტად მაინც იუმორის თარგმნა მიჭირს; აქაურებს სულ სხვა რამეზე ეცინებათ, მე კი ვიხსენებ ჩვენს კლას და ის ხუმრობები მენატრება.

იცი, რა არის ყველაზე უცნაური? აქ ყოფნამ მასწავლა, თუ რამდენად ძვირფასია ის, რაც ადრე ჩვეულებრივი და ყოველდღიური მეგონა. ახლა სხვანაირად მახსენდება ის თბილი, უშუალო ურთიერთობები, რაც ჩვენთან ბუნებრივათ ხდება. აქ ადამიანები ძალიან თავაზიანები არიან, თუმცა მათშორის ყოველთვის არის უხილავი დისტანცის განცდა.

მიუხედავად ამისა, ვცდილობ, ახალ გარემოს შევეგუო და ჩემი ქვეყანის შესახებ ბევრი რამ მოვუყვე. მინდა, რომ აქაურებმა საქართველო ჩემი საშუალებით გაიცნონ და შეიყვარონ.

გთხოვ, მომწერე, როგორ ხართ? როგორ ჩაიარა მიმდინარე სემესტრმა? ისევ ისე ხმაურობს ჩვენი კლასი დასვენებებზე? ჩემთვის ახლა თითოეული თქვენი ამბავის მოსმენა უმნიშვნელოვანესია, რადგან ისინი მინარჩუნებენ კავშირს იმ სახლთან, რომელიც ძალიან მენატრება.

იმედით და მონატრებით, შენი ელისაბედი.

ბ) I უმცროსკლასელის ნამუშევარი.

ტომ სოიერის დახასიათება

მე მოგიყვებით ერთ ოინბაზე, რომელსაც ტომ სოიერი ჰქვია. ის ძალიან მოუსვენარი, მაგრამ გონიერი ბიჭია. ის დეიდა პოლთან ერთად ცხოვრობს და ხშირად აბრაზებს მას თავისი ოინებით, თუმცა გულის სიღრმეში კეთილია და თავისი დეიდა ძალიან უყვარს.

ტომს არ უყვარს სკოლაში სიარული, გაკვეთილების სწავლა და ეკლესის სკამზე წყნარად ჯდომა. სამაგიეროდ, ძალიან უყვარს თავგადასავალები და მდინარე მისისიპიზე ხეტიალი. მეგობრებთან თამაში როცა ერთვება, ის ნამდვილი ლიდერია. ეს კარგად ჩანს მაშინ, როდესაც მან მეგობრებს ღობეს შეღებვა დიდ გასართობათ მოაჩვენა და სამუშაო სხვებს შეასრულებინა, თავად კი მათი სათამაშოები მიიღო საჩუქრათ.

მიუხედავად იმისა, რომ ტომი ხშირად იტყუება და ყველა წეს არღვევს, მას კარგი გული აქვს. ის ერთგული მეგობარია — ჰეკლბერი ფინს არასდროს ტოვებს გასაჭირში და ბეკი ტეტჩერის გადასარჩენად გამოქვაბულში ყველაფერს აკეთებს. ტომი მამაცი ბიჭია, რადგან სასამართლოსზე სიმართლეს თქმა არ შეეშინდა, რითაც უდანაშაულო ადამიანი იხსნა.

ჩემი აზრით, ტომ სოიერი ძალიან საინტერესო პერსონაჟია, რადგან მასთან ერთად არასდროს მოიწყენ. ის გვასწავლის, მეგობრობისა და სიმამაცეს აზრს.

ბ) II უმცროსკლასელის ნამუშევარი.

პეპი გრძელიწინდის დახასიათება

პეპი გრძელიწინდა ჩემი საყვარელი პერსონაჟია. ის ძალიან უცნაური, მხიარული და საინტერესო გოგონაა. პეპი ცხრა წლისაა და მარტო ცხოვრობს ვილა „ყურდღელა"-ში თავის მაიმუნ ბატონ ნილსონისთან და დიდ ცხენთან ერთად.

გარეგნობით პეპი ძალიან განსხვავებული და სასაცილოა. მას აქვს სტაფილოსფერი თმები, რომლებიც ორ ნაწნავათაა გაჩხერილი, უამრავი ჭორფლი ცხვირზე და ლოყებზე, და სხვადასხვანაირი წინდები - ერთი ყავისფერი და მეორე შავი. კიდევ, მას თავის ფეხზე ბევრად დიდი ფეხსაცმელები აცვია.

ყველაზე მეტად პეპში მისი უცნაური ძალა და კეთილი გული მომწონს. ის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გოგონაა - შეუძლია თავისი ცხენი ხელში აიტაცოს, ან გაბრაზებული პოლიციელები სახურავზე შემოსვას. პეპის არ უყვარს სკოლაში სიარული და არ იცავს არცერთ წეს, მაგრამ სამაგიეროდ იცის მეგობარის ფასი. ის ტომის და ანიკას ყოველთვის უზიარებს თავის სათამაშოებსა და ტკბილეულებს.

ჩემი აზრით, პეპისთან ერთად ცხოვრება არასოდეს იქნებოდა მოსაწყენი. ის გვასწავლის, რომ მთავარია ვიყოთ კეთილები, მხიარულები და არ შეგვეშინდეს იმის, რომ სხვებს არ ვგავართ.

რესურსი 1. მაორგანიზებელი სქემა - შეცდომათა ტიპები.

ტექსტში დაფიქსირებული შეცდომა	შეცდომის ტიპი	რჩევა: რა უნდა იცოდნენ, რომ არ დაუშვან მსგავსი ტიპის შეცდომა
ირაკლივ	საკუთარ სახელთა მართლწერა	ირაკლი საკუთარი არსებითი სახელია, ადამიანის (პირთა) სახელები (არც თანხმოვანფუძიანი და არც ხმოვანფუძიანი) წოდებითში არ დაირჩავს ბრუნვის ნიშანს (ფუძის სახითაა წარმოდგენილი).

აქტივობა 5. ენობრივი ნორმების თავმოყრა.

თემის ფარგლებში შესწავლილი საკითხების გათვალისწინებით:

- ჩამოწერეთ მართლწერის ყველა ის წესი, რომელთა ცოდნა მნიშვნელოვანია მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ გასაგებად, სათქმელის გამართულად და ნათლად ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში;
- თითოეულ ნორმასთან დაკავშირებით ჩამოყალიბეთ მართლწერის წესი.

აქტივობა 6. გრამატიკული სამახსოვროს სტრუქტურაზე მუშაობა.

ა) განსაზღვრეთ გრამატიკული სამახსოვროს თემა, შეურჩიეთ კონკრეტული სათაური, რომელიც მიანიშნებს საკითხებს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება სამახსოვროში;

(მაგ., ჩვენს შემთხვევაში არსებით სახელთა მართლწერა).

ბ) განსაზღვრეთ მიზანი, მიზნობრივი ჯგუფი და საკომუნიკაციო არხი;

(მაგ.: გრამატიკული სამახსოვრო - არსებით სახელთა მართლწერა - განკუთვნილია დაწყებითი კლასების/უცხოეთში მცხოვრები სასკოლო ასაკის მოზარდებისათვის ნაბეჭდი ან/და ციფრული ფორმით. სამახსოვროს მიზანია, გახდეს პრაქტიკული, თვალსაჩინო და მოკლე დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც მათ დაეხმარება გრამატიკული წესების სწრაფად და სწორად აღქმაში, დამახსოვრებასა და პრაქტიკულად გამოყენებაში სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში).

გ) დაურთეთ მარტივი ენით დაწერილი მოკლე შესავალი, რომლითაც აუხსნით ამა თუ იმ წესის ცოდნის საჭიროებას და სამახსოვროს ფუნქციას.

მაგ. : „ჩემო პატარა/სამშობლოდან შორს მცხოვრებო მეგობარო, მახარებს შენი სურვილი, რომ წერდე და მეტყველებდე გამართული ქართულით, რაც ჩვენი ენისადმი შენი მხრიდან გამოხატული პატივისცემის დასტურია. ვიცი, გრამატიკის წესების დამახსოვრება ხშირად რთული და მოსაწყენია, თუმცა მათ გარეშე შეუძლებელია აზრი გამართულად და ნათლად ჩამოაყალიბო საუბრისა თუ წერის დროს. ვფიქრობ, ეს სამახსოვრო დაგეხმარება, თავიდან აირიდო გავრცელებული შეცდომები და შენი მეტყველება თუ წერა გახადო უფრო გამართული და უფრო თავდაჯერებულიც გახდე. შეინახეთ ეს სამახსოვრო იოლად ხელმისაწვდომ ადგილას სწრაფი გადამოწმებისათვის.“

დ) შეარჩიეთ სათანადო სტილი მომხმარებლის ასაკისა და სამახსოვროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

(მაგ. სამახსოვროსთვის გამოიყენეთ მარტივი წინადადებები, ასაკის შესაბამისი ლექსიკა; მოერიდეთ ზედმეტად აკადემიურ სტილს, ესაუბრეთ მათთვის გასაგები სიტყვებით).

ე) როგორ სტრუქტურას გამოიყენებთ და როგორ გააფორმებთ ვიზუალურად?

(მაგ. სამახსოვროთი მოწოდებული ინფორმაციის მარტივად აღსაქმელად ტექსტი მოკლე აბზაცებად დაყავით, გამოიყენეთ სხვადასხვა ტექსტური მინიშნებები (მაგ.: გამუქება, დახრა და ა.შ.), არ გადატვირთოთ გვერდი ელემენტებით - დატოვეთ თავისუფალი, „სუნთქვის” სივრცე. არ გადატვირთოთ ფერებით, გამოიყენეთ მაქსიმუმ 2 ფერი (მაგ.: მწვანე/წითელი), შეგიძლიათ გამოიყენოთ მარტივი სიმბოლოები (მაგ. ✔ სწორია / ✘ არასწორია, წესი - ! და ა.შ).

აქტივობა 6. გრამატიკული სამახსოვროს პირველადი ვერსიის დაწერა და სრულყოფა თვითშეფასების სქემაზე დაყრდნობით.

როგორ გავაუმჯობესო პირველადი ვერსია?

სამუშაო რესურსი 2. თვითშეფასების სქემა

გრამატიკული სამახსოვრო	არის	გასაუმჯობესებელია
სამახსოვრო სტრუქტურულად გამართულია: აქვს შესავალი, გამოყოფილია აბზაცები.		
დაფიქსირებულია არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებული თითქმის ყველა წესი.		
გამოყენებულია სამიზნე აუდიტორიისათვის გასაგები ლექსიკა და შერჩეულია სამახსოვროსათვის საჭირო სტილი.		
მიზნობრივადაა შერჩეული ტექსტური მიმანიშნებლები, ფერები, იოლად აღსაქმელი სიმბოლოები.		
დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.		

აქტივობა 5. გრამატიკული სამახსოვროს საბოლოო ვერსიის შემუშავება და წარდგენა.

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	მოლოდინები (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) მოსწავლეს შეუძლია:
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სიტყვაფორმებისა და ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.	• გრამატიკული სამახსოვროს შედგენისას სხვადასხვა სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ფუნქციური გამოყენება; • გრამატიკული სამახსოვროსათვის დამახასიათებელი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმებისა დაცვა.

შემაჯამებელი დავალების ნიმუში

შემაჯამებელი დავალება ქართულ ენაში N

სკოლა: ----------

კლასი: ----------

მოსწავლე: ----------

თარიღი: ----------

ქართული ენისა შემაჯამებელი დავალების ტესტი შედგება რამდენიმე განსხვავებული ტიპის დავალებისაგან: I. გამოტოვებული სიტყვის ჩასმა; II. შეცდომის ამოცნობა, გასწორება და ახსნა, III. შესაბამისობის დამყარება, IV. ..ჭეშმარიტია-მცდარია“, V. 1-აბზაციანი ტექსტის შექმნა კონკრეტული მითითების საფუძველზე.

თითოეულ ტესტურ დავალებას ახლავს მკაფიო მითითება. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტესტის დავალებები, გაითვალისწინეთ თითოეული დავალების პირობა და პასუხები ისე გაეცით. თითოეული დავალება ფასდება განსხვავებული ქულით, დავალების შეფასების მაქსიმალური ქულა ტესტური დავალების ნუმერაციის წინ ფრჩხილებშია მოცემული.

გისურვებთ წარმატებას!

(1) 1. მოცემულ წინადადებაში გამოტოვებული სიტყვები - ამბავი, სიამაყე - ჩასვით სათანადო ადგილას მართებული ფორმით:

კრწანისის ველზე გმირულად დაცემული სამასი არაგველის _____ გაცოცხლება ჩვენში ეროვნული_____ განცდას ამძაფრებს.

(2) 2. ა) მოცემულ წინადადებაში მოძებნეთ შეცდომები, გაასწორეთ და წინადადება ისე გადაწერეთ.

ბ) ახსენით, რა უნდა იცოდეთ, რომ არ დაუშვათ მსგავსი შეცდომა.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპოქალურმა ჰუმანიზმა ქართული აზროვნება რენესანს დაუკავშირა.

ა) _____

ბ) _____

_____

_____

_____

(1) 3. შესაბამისობა.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ, რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები.

ფარსმან ქველის ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ქანდაკება რომში მარმარილოს კვარცხლბეკზე აღუმართავთ, ზედაპირისთვის კი ანტიკური საბერძნეთის ოსტატები ოქროს იყენებდნენ.

სიტყვა	ბრუნვა
ბრინჯაოსგან	
მარმარილოს	
ოქროს	

(2) 4. ყურადღებით წაიკითხეთ სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები და განსაზღვრეთ, დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, მცდარია თუ არასაკმარისი ინფორმაციაა.

N	დებულება	ჭეშმარიტია	მცდარია	ინფორმაცია არასრულყოფილია
1	თანხმოვანფუძიანი სახელები შეიძლება იყოს უკუმშველიც და კუმშვადიც			
2	ხმოვანფუძიანი სახელები მოიკვეცს ბოლოკიდურ ხმოვანს			
3	კუმშვის დროს ფუძიდან ამოვარდება ხმოვანი ბგერა.			
4	შეუძლებელია ერთდროულად ფუძეში მოხდეს კუმშვაც და კვეცაც.			

(4) 5. ქვემოთ მოცემული ზმნებიდან აირჩიეთ ნებისმიერი ორი, აქციეთ მოქმედების გამომხატველ სახელად და მათი გამოყენებით შექმენით 1-აბზაციანი ტექსტი, რომელშიც შერჩეულ სიტყვებს გამოიყენებთ ყველა ბრუნვის ფორმით.

გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი უნდა იყოს მთლიანი და წინადადებები ერთმანეთთან ლოგიკურად და თანმიმდევრულად დაკავშირებული.

(წვიმს, ცხელა, აგრილდა, მოსწონს, უყვარს, ახსოვს, თამაშობს)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

შემაჯამებელი დავალების ტესტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება	შეფასების ინდიკატორები (სტანდარტი)	ტესტური დავალების ტიპი	დავალების შეფასების კრიტერიუმი, მოსწავლეს შეუძლია:	ქულა
ენის სისტემა (შედეგი 1)	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა. • სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.	**1. მოცემულ წინადადებაში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები მართებული ფორმით.**	წინადადებაში გამოტოვებული **ორივე** სიტყვის სათანადო ადგილზე ჩასმა შესაბამისი ბრუნვის მართებული ფორმით (**ამბის, სიამაყის**).	**1 ქულა**
			ერთ-ერთი სიტყვის სათანადო ადგილზე ჩასმა მართებული ფორმით.	**0,5 ქულა**
		(2) 2. ა) მოცემულ წინადადებაში მოძებნეთ შეცდომები, გაასწორეთ და წინადადება ისე გადაწერეთ. ბ) ახსენით, რა უნდა იცოდეთ, რომ არ დაუშვათ მსგავსი შეცდომა.	გაასწოროს ორივე ხარვეზი, სრულყოფილად ახსნას შეცდომის მიზეზი.	**2 ქულა**
			გაასწოროს ერთ-ერთი ხარვეზი, სრულყოფილად ახსნას შეცდომის მიზეზი.	**1,5 ქულა**
			გაასწოროს ერთ-ერთი ხარვეზი, არასრულყოფილად ახსნას შეცდომის მიზეზი, ან გასწოროს ორივე ხარვეზი, მაგრამ ვერ ახსნას შეცდომის მიზეზი.	**1 ქულა**
			გაასწოროს მხოლოდ ერთი ხარვეზი.	**0,5 ქულა**
		(1) 3. შესაბამისობა. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ, რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები.	სწორად ამოიცნოს სამივე სიტყვის ბრუნვის ფორმა.	**1 ქულა**
			სწორად ამოიცნოს 1-2 სიტყვის ბრუნვის ფორმა.	**0,5 ქულა**
		(1) 4. ყურადღებით წაიკითხეთ სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები და განსაზღვრეთ, დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, მცდარია თუ არასაკმარისი ინფორმაციაა.	სწორად ამოიცნოს ოთხივე დებულების მართებულობა.	**2 ქულა**
			სწორად ამოიცნოს სამი დებულების მართებულობა.	**1,5 ქულა**
			სწორად ამოიცნოს ორი დებულების მართებულობა.	**1 ქულა**
			სწორად ამოიცნოს მხოლოდ ერთი დებულების მართებულობა.	**0,5 ქულა**
		(4) 5. ქვემოთ მოცემული ზმნებიდან აირჩიეთ ნებისმიერი 2 სიტყვა, აქციეთ მოქმედების გამომხატველ სახელად და მათი გამოყენებით შექმენით 1-აბზაციანი ტექსტი, რომელშიც შერჩეულ სიტყვებს გამოიყენებთ ყველა ბრუნვის ფორმით. გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი უნდა იყოს მთლიანი და წინადადებები ერთმანეთთან ლოგიკურად და თანმიმდევრულად დაკავშირებული	შერჩეული ორივე სიტყვა გადააკეთოს მოქმედების აღმნიშვნელ სახელად და გამოიყენოს ყველა ბრუნვის ფორმით. ტექსტში წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობით დაუკავშიროს ერთმანეთს და შექმნას ერთიანი, მთლიანი ტექსტი.	**4 ქულა**
			შერჩეული ორივე სიტყვა გადააკეთოს მოქმედების აღმნიშვნელ სახელად და გამოიყენოს თითქმის ყველა (არანაკლებ 5-5 ფორმისა) ბრუნვის ფორმით. ტექსტში წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობით დაუკავშიროს ერთმანეთს და შექმნას ერთიანი, მთლიანი ტექსტი.	**3 ქულა**
			შერჩეული ორივე სიტყვა გადააკეთოს მოქმედების აღმნიშვნელ სახელად და გამოიყენოს რამდენიმე (არანაკლებ 3 ფორმისა) ბრუნვის ფორმით. ტექსტში წინადადებებს ზოგჯერ ვერ აკავშირებს ლოგიკური თანმიმდევრობით, თუმცა ძირითადად მაინც ქმნის ერთიან, მთლიან ტექსტს.	**2 ქულა**
			შერჩეული ორივე სიტყვა გადააკეთოს მოქმედების აღმნიშვნელ სახელად და გამოიყენოს რამდენიმე (არანაკლებ 2-3 ფორმისა) ბრუნვის ფორმით. ტექსტში წინადადებებს ვერ აკავშირებს ლოგიკური თანმიმდევრობით და ვერ ქმნის ერთიან, მთლიან ტექსტს.	**1 ქულა**

მოსწავლის პროგრესის შეფასების რუბრიკა

ა	ბ	გ
მოსწავლის ნამუშევარი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმის/ კრიტერიუმების მოთხოვნებს სრულად პასუხობს. მიცემულ დავალებებს ასრულებს დამოუკიდებლად, სრულყოფილად ითვალისწინებს დავალების შეფასების თითქმის ყველა კრიტერიუმს.	მოსწავლის ნამუშევარი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმის/ კრიტერიუმების მოთხოვნებს ნაწილობრივ პასუხებს. მიცემული დავალებების შესრულებისას საჭიროებს მცირე დახმარებას (მიზნობრივი შეკითხვები, დამატებითი განმარტებები დავალების შეფასების ზოგიერთ კრიტერიუმზე).	მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკით გათვალისწინებული კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნები უმეტესწილად დასაძლევია. საჭიროებს დიფერენცირებულ, მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ დახმარებასა და დამატებით რეკომენდაციებს.

I თემა					
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მიღწევის დონე**			**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	
	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • ენობრივ- სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.				

II თემა					
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა	**შეფასების კრიტერიუმები**	**მიღწევის დონე**			**სიტყვიერი კომენტარი**
		ა	**ბ**	**გ**	
	• სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად; • ენობრივ- სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება; • მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.				

თემა I. სიტყვათა გრამატიკული კლასები											
შუალედური მიზანი: ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი თხზულების დაწერა თანატოლებისათვის საინტერესო და აქტუალურ თემაზე (არნოლდ ჩიქობავას მიმართვის - „სახელიანი ივლიდეთ" - შესწავლით მიღებული ცოდნის გამოყენებით).											
სამიზნე ცნება და მისი მოცულობა		სამიზნე ცნება - ენის სისტემა. მორფოლოგია. ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები; ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები									
#	გვარი, სახელი	შეფასების კრიტერიუმი (ინდიკატორები სტანდარტიდან)									
		სიტყვაფორმების, ლექსიკური ერთეულების ამოცნობა, მათი მნიშვნელობის ახსნა და მიზნობრივი გამოყენება კონტექსტის შესაბამისად			ენობრივ-სტილისტიკური საშუალებების ამოცნობა და მათი მნიშვნელობის გააზრება, მიზნობრივი ამოცანის შესაბამისი სტილის შერჩევა და გამოყენება			მართლმეტყველების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.			სიტყვიერი კომენტარი
		ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	
1											
2											
3											
4											
5											
6											
7											
8											
9											
10											
11											
12											
13											
14											
15											
16											
17											
18											
19											
20											
21											
22											
23											
24											
25											

მასწავლებლის წიგნში მოცემული დამატებითი აქტივობების, ტესტებისა და სავარჯიშოების პასუხები

შემოქმედებითი ბუნების კომპლექსური დავალება. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი თხზულების დაწერა თანატოლებისათვის საინტერესო და აქტუალურ თემაზე (არნოლდ ჩიქობავას მიმართვის -„სახელიანი ივლიდეთ" - შესწავლით მიღებული ცოდნის გამოყენებით).

აქტივობა 7. ტექსტის მთავარ სათქმელზე დაკვირვება/ამოცნობა.
I. ტექსტის შესწავლის შემდეგ შეავსეთ გრაფიკული მაორგანიზებელი.

აბზაცი/აბზაცები ტექსტიდან	ძირითადი სათქმელი
ოთხმოცი წელი... „გზა ყივის წამავალისა!" გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს.	ხალხის უკვდავების, ერთიანობისა და ეროვნული იდენტობის მთავარი საფუძველი ენაა, რომელიც სხვადასხვა თაობებს ერთ ხალხად ამთლიანებს.
ენის საშუალებით გადაეცემა შემდგომ თაობას, რაც წინა თაობას ცოდნა-გამოცდილება დაუგროვებია. ეს რომ არა, კულტურის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.	ენაა კულტურის განვითარებისა და პროგრესის ინსტრუმენტი, სწორედ მისი საშუალებით გადაეცემა თაობებს ცოდნა და გამოცდილება.
ბუნებრივია, რომ ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა, უყვარს დედაენა. ასევე ბუნებრივია სხვის ენას პატივისცემით ვეკიდებოდეთ: „სხვისი ენა" აკი ვიღაცისთვის დედაენაა. რა თქმა უნდა, ვისაც თავისი ენა არ უყვარს, სხვისი ენის პატივისცემას ვერ დაიჩემებს, მისთვის ყველა ენა ერთია: ის კოსმოპოლიტია და არა - ინტერნაციონალისტი.	მშობლიური ენის სიყვარული ბუნებრივი მოვლენაა, ისაა საფუძველი სხვა ხალხების ენებისა და კულტურის ჭეშმარიტი პატივისცემისაც.
ქართულ ენაზე მდიდარი მწერლობა მოგვეპოვება. ეს მწერლობა ჩვენი კულტურის დიდი ძალაა, თუკი მკითხველი და, პირველ რიგში, ახალგაზრდობა მას სათანადოდ მოეკიდება. ქვეყანას სჭირდება განათლებული ახალგაზრდობა. ზერელე ცოდნა, უვიცობა პატრიოტული ვერ იქნება...	პატრიოტიზმი მშობლიური მწერლობისა და კულტურის ღრმა, საფუძვლიან ცოდნას ეფუძნება. ქვეყნის წინსვლა და განვითარება კი სწორედ განათლებულ ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული.
დიდი მოვალეობა აწევს, კერძოდ, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს: განავითარონ ის დარგები, სადაც აქამდე ძლიერი სკოლა და სამეცნიერო ტრადიციები არ შექმნილა; ხოლო იქ, სადაც გარკვეული ტრადიციები მოგვეპოვება, წავიდეთ წინ ახალი მიღწევებისაკენ: კარგს უკეთესი უნდა შეემატოს.	ახალგაზრდა მეცნიერების მთავარი ვალდებულებაა არსებული ტრადიციების კიდევ უფრო გაძლიერება და ამავდროულად ქვეყანაში ახალი სამეცნიერო დარგების განვითარება.
ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენში საძებარი არ არის. ნიჭს დამჯდარი შრომის უნარი უნდა ზურგს უმაგრებდეს. ეს კი ხშირად გვაკლია. შრომა ყველა დარგს, ყოველ საქმეს ესაჭიროება. მშრომელი ახალგაზრდობა ქვეყნის ბურჯია, ხალხის ნათელი მომავლის საფუძველია. გამარჯვება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდობას შრომაში, სწავლაში, კაიკაცობაში!	ქვეყნის წარმატებისა და პროგრესისათვის, ნიჭთან ერთად, ჭეშმარიტ ფასეულობებზე დაფუძნებული ბეჯითი შრომაა საჭირო.

აქტივობა 8. ტექსტის ენაზე დაკვირვება.

სიტყვათა გრამატიკულ კლასებთან დაკავშირებული წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება.

I. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები.


სამუშაო რესურსი 3. სიტყვათა გრამატიკულ კლასებზე დაკვირვება.

(სქემაში მოცემული ნიმუშები შემთხვევითობის პრინციპითაა ამოწერილი და, ბუნებრივია, მოსწავლის ნამუშევარში შეიძლება სხვა სიტყვაფორმები დაფიქსირდეს)

სიტყვები	მაგალითი ტექსტიდან	რომელ კითხვაზე გპასუხობთ?	რა ეწოდება სიტყვათა ამ ჯგუფს?
საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები	ხალხი, გზა, ენა, ახალგაზრდა, ტრადიცია...	ვინ? რა?	არსებითი სახელი
სიტყვები, რომლებიც გამოხატავს ამ საგანთა თუ მოვლენათა ნიშან-თვისებას	წარმავალი, მდიდარი, განათლებული, ზერელე...	როგორი?	ზედსართავი სახელი
საგანთა თუ მოვლენათა რაოდენობისა და რიგის გამომხატველი სიტყვები	ოთხმოცი, ერთი, მეორე, პირველი...	რამდენი? მერამდენე?	რიცხვითი სახელი
სიტყვები, რომლებიც სხვა სახელებს ენაცვლება	მისი, მას, ყველა, ის...	ვისი? ვის? ვინ?	ნაცვალსახელი
სიტყვები, რომლებიც მოქმედებას გამოხატავს	ყივის, მიდის, ვუსურვოთ, ვეკიდებოდეთ...	რას შვრება? რა ვქნათ? რას ვშვრებოდეთ?	ზმნა
სიტყვები, რომლებიც მოქმედების დროს, ადგილს, ვითარებას, მიზეზსა და მიზანს გამოხატავს	წინ, იქ, აქამდე, ხშირად...	სად? როდემდე? როგორ?	ზმნიზედა

აქტივობა 5. შეავსე თავსატეხები


ა) საზოგადო არსებითი სახელები:




1. სასწავლო დაწესებულება;
2. მასწავლებელი ანუ...
3. მოწყობილობა, რომელიც ბგერებს გამოსცემს, მაგ. ტაძარში ან/და სასწავლო დაწესებულებაში;
4. უახლოესი ადამიანი, ერთგული სანდო;
5. ნებისმიერი ტექსტის შემცველი ერთად აკინძული ფურცლები; ცოდნის, განათლებისა იარაღი;
6. ქვეყანა პიროვნებისათვის, სადაც იგი დაიბადა და მისი მოდგმის ხალხი ცხოვრობს;
7. მშობელი, ანუ ...
8. მწერალი, რომელიც წერს ლექსებს ან/და პოემებს.

ბ) შეავსე თავსატეხი (საკუთარი არსებითი სახელები).

1. ზღვისპირა ქალაქი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით;
2. წიგნი, რომლითაც სწავლობ წერა-კითხვას;
3. მამაკაცის სახელი;
4. ცნობილი ქართული ხალხური სიმღერა;
5. ქვეყანა ამიერკავკასიაში;
6. ქართველი მეფე-ქალის სახელი;
7. ქართული მითოლოგიის ცნობილი გმირი, რომელიც კავკასიონზე მიაჯაჭვეს;
8. მე-20 საუკუნეში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტის გვარი.



გ) შეავსე თავსატეხი (კრებითი არსებითი სახელები).



1. მოსწავლეთა ჯგუფი;
2. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთიანობა საერთო ტერიტორიით, ენით, კულტურითა და ა.შ.
3. მორწმუნე ადამიანები, რომელთაც მომსახურებას უწევს ერთი ეკლესია;
4. არაორგანიზებულად შეკრებილი ადამიანების დიდი ჯგუფი;
5. მსახიობთა გუნდი, კოლექტივი;
6. ყველა ღმერთის ერთობლიობა ან/და ცნობილი ადამიანების დასაკრძალი ადგილი;
7. ვაზის, ყურძნის ბაღი.

აქტივობა 4. ბრუნებისა და ბრუნვის ნიშანთა მართლწერის ცოდნის შემოწმების მიზნით შეიძლება შევთავაზოთ სხვადასხვა დამატებითი სავარჯიშო.

ა) წარმოდგენილ ანდაზებში ჩასვით სიტყვები მართებული ფორმით:

1. **ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო;**
2. **წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო;**
3. **აქლემს ნემსს დაადებენ – დაწვება, აიღებენ - ადგებაო;**
4. **ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო;**
5. **ვინც პატარა რამეს ვერ დააფასებს, ის ვერც დიდის ფასს მიხვდებაო;**
6. **ზღვა ფაფად იდგა, უბედურს კოვზიც არ ხვდაო;**
7. **ბუტიას წილი ტკბილიაო;**
8. **სინდისს კბილები კი არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო;**
9. **პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო;**
10. **ბებიის გამომცხვარი კვერი ტკბილიაო.**

ბ) წარმოდგენილ ანდაზებში მოძებნეთ მცდარი ფორმით გამოყენებული არსებითი სახელები, გაასწორეთ ხარვეზი და ჩაანაცვლეთ მართებული ფორმით:

1. აგორებული ქვა ხავსს არ მოიკიდებსო;
2. შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკალად ესობოდაო;
3. ქათამმა უთხრა კვერცხსაო, ეგრე ვიყავი მეცაო. იმდენს გავედრებ ღმერთსაო, ჩემსავით გაგხდი შენცაო;
4. ხმალმა ერთი დაასვა, კალამმა – ათასიო;
5. გაშავებულ სინდისს ვერანაირი წყალი ვერ გაათეთრებსო;
6. უფროსს თუ არ ააფასებ, უმცროსი შენც არ დაგაფასებსო;
7. არა მწამს ქინძი ქონდრადა, არც მწვანე კიტრი – გოგრადა;
8. ცხენი ლაგამმა უნდა მართოს, კაცი – გონებამაო;
9. რაც კალამმა დაწერა, იმას ნაჯახიც ვერ წაშლისო;
10. აქლემმა თქვა: რომ არ დამაჩოქებდნენ, მთელ ქვეყანას ავიკიდებდიო.

გ) ტექსტის რედაქტირება.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ სახელის ბრუნებასა და ბრუნვის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული მორფოლოგიური შეცდომები და მთელი ტექსტი ისე გადაწერეთ, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 29 სექტემბერს სოფელ ჩუნეშში. მისი წინაპრები იმერეთის მეფის კარზე მიღებული პირები ყოფილან. მათ „ფიცის კაცებს“ უწოდებდნენ. მწერლის დედა წულუკიძეთა ოჯახის ასული იყო.

ნიკო ლორთქიფანიძემ გიმნაზიის სრული კურსი დაამთავრა და ხარკოვის უნივერსტეტში ჯერ მათემატიკის, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1902 წელს კი ნიკო ლორთქიფანიძე ავსტრიაში გაემგზავრა. მის ბინას ამშვენებდა წარწერა: „პრინცი ლორთქიფანიძე“. 1907 წელს ნიკო ლორთქიფანიძე თბილისში დაბრუნდა. 1907-08 წლებში გერმანულის მასწავლებლად მუშაობდა, რედაქტორობდა გაზეთ „ერს“, რომელიც ხელისუფლებამ დახურა ეროვნული პოზიციის გამო. 1912-25 წლებში ქუთაისში ცხოვრობდა, სადაც საადგილმამულო ბანკში დამფინანსებლად მოეწყო და აქვე დაოჯახდა.

1910-11 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ლიტერატურა“. 1917 წლიდან მუშაობდა გაზეთ „სამშობლოს“ პასუხისმგებელ მდივნად მოგვიანებით კი ამავე გაზეთის რედაქტორი გახდა. 1925 წელს ნიკო ლორთქიფანიძე ტოვებს ქუთაისს, ისევ თბილისში ბრუნდება და პედაგოგიურ მოღვაწეობას განაგრძობს.

ცხოვრების ბოლო წლებში მწერალი ჩუმად, უპრეტენზიოდ ცხოვრობდა. ხშირად უნახავთ შებინდებისას რუსთაველის გამზირზე მარტო მოსეირნე, ფიქრებში ჩაფლული, თვალებში ნაღველჩამდგარი. ნიკო ლორთქიფანიძის კალამმა შექმნა პოეტური პროზის მინიატურები, რომლებშიც სამშობლოს ბედით სულშეძრული ადამიანის წუხილი ისმის. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში თანაბარი სიძლიერით იჩინა თავი ლირიზმმა და იუმორმა, მისი თხზულებების ერთი ნაწილი ლეგენდურ-ზღაპრულ შინაარსს ეფუძნება. მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა XX საუკუნის ქართული პროზის განვითარება.

ნიკო ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაისს, 63 წლისა, დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, საიდანაც 1954 წელს დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

აქტივობა 5. დამატებითი დავალებები არსებითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებით.

ა) წარმოდგენილ ანდაზებში ჩასვით სიტყვები მართებული ფორმით:

1. თუ დედაენით შვილებს არა ზრდი, აკვნის ნანას ფასი ეკარგებაო.
2. ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო;
3. სიბრძნის ფასი ოქროზე მეტიაო.
4. ტოროლას სიმღერა ცაში ისმის, მიწაზე კი მისი ბუდე ძლივს ჩანსო.
5. სწავლით კაცი არ წახდებაო;
6. მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ის კი მაინც ტყისკენ გარბოდაო;
7. სიკეთით ქვეყანა შენდება, ბოროტებით კი ინგრევაო;
8. მზემ, რომ ჩავლო, მაშინ იწყება ციცინათელაა ზღაპარიო;
9. ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო;
10. თხამ დააფრუტუნა, მგელმა უთხრა: ღვთის წყალობაო!
11. კარგი სტუმრის მოსვლა კერასაც გაუხარდებაო;
12. კარგი ვაჟკაცი ქვეყნის იმედიაო;
13. ქათმის მომჩივანს ინდოური კალთაში უნდა გყავდესო;
14. ქაჩალი სავარცხლის გაძვირებას სჩიოდაო;
15. ჭინჭრის ძირზე ჭინჭარი ამოვაო;
16. ცოდნით კაცი ყველგან გზას გაიკვლევსო;
17. ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანს;
18. ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო;
19. დროულად დაწყებული საქმე ნახევარი ღონის დაზოგვააო;
20. სიბრძნეს ვერ გადასწონი რაგინდა-რა ბეგრითაო.

ბ) წარმოდგენილ ანდაზებში მოძებმეთ მცდარი ფორმით გამოყენებული არსებითი სახელები, გაასწორეთ შეცდომა და ჩაანაცვლეთ მართებული ფორმით:

1. ცოდნით ქვეყანა აშენდება, უცოდინრობით კი დაინგრევაო;
2. ვისაც ღვთის ეშინია, იმისა ნუ გეშინია;
3. მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ის კი მაინც ტყისკენ გარბოდაო;
4. ლეჩაქის მქსოველს გოდრის დაწვნა უკვირდაო;
5. კაცი არ წახდება სიკეთითაო;
6. ციცინათელას ღარიბი ცეცხლით დიდი გზის გაკვლევას ნუ ეცდებიო;
7. დიდი ღონის ქონას, მცირე მოხერხების ქონა სჯობიაო.
8. მოყვრებს შუა აბრეშუმის ძაფია გაბმული, მტერსა და მტერს შუა - ბაწარიო;
9. უცხოეთის ვარდსაო, მშობლიური ქვეყნის ნარი მირჩევნიაო;
10. ოსტატის ხელში უბრალო სახელოსნოც ქარხნად გადაიქცევაო
11. რწმენის მქონე კაცს მთა და ბარი ვერ შეაჩერებსო;
12. მთქმელმა ერთი დააშავა, ამბის მომტანმა ათასიო;
13. ენა ტკბილი, ენა მწარე, ენა ქვეყნის ამომგდები;
14. კაცი ყველგან გზას გაიკვლევს ცოდნითაო;
15. ღვინის სმასა და ჭკუის დაკარგვას შორის ერთი ნაბიჯიაო;
16. ნიგვზის ხეს ქვა ბევრი ესროლეს, მაგრამ მაინც ნაყოფი გამოიღოო;
17. შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ესობოდაო.
18. როცა სიღარიბე კარზე აკაკუნებს, სიყვარული ფანჯრიდან გარბისო;
19. ჭკუით მოგებული ომი ღონით მოგებულს სჯობიაო.
20. ჭეშმარიტი რწმენით მთებსაც კი გადადგამს კაციო.

აქტივობა 6. ლოგიკური სავარჯიშოები ფუძის კუმშვასა და კვეცასთან დაკავშირებით.

გაიხსენეთ რა ტიპის ცვლილებები ხდება ფუძეში ბრუნების დროს და განსაზღვრეთ, რომელი არსებითი სახელია შეუსაბამო ჩამონათვალში; ახსენით - რატომ?

1. საღებავი; 2. ფურცელი; 3. ტომარა; 4. გოდორი; 5. ვაშლი; 6. რძე; 7. იასამანი; 8. ქარხანა; 9. ქვეყანა; 10. მტკვარი; 11. ღვინო.

აქტივობა 4. საკუთარ სახელთა მართლწერის შემოწმების მიზნით შეიძლება შევთავაზოთ სხვადასხვა სავარჯიშოები.

ა) ტექსტის რედაქტირება:

გალაკტიონ ტაბიძეს გამორჩეულად უყვარდა აფხაზეთი. ნატო კორსანტიას წიგნში -„გალაკტიონი, ზღვა და აფხაზეთი" პოეტის აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსები, ჩანაწერები და დღიურებია თავმოყრილი. აქვეაა წარმოდგენილი გალაკტიონის აფხაზეთში გადაღებული ფოტოები, მისი ხელნაწერები და ჩანახატები აფხაზეთსა და ზღვაზე.

გალაკტიონ ტაბიძე აფხაზეთს ხშირად ლექსებსაც უძღვნიდა. იგი ამ მხარეს ხშირად სტუმრობდა. ახლობლები იგონებენ, რომ მას ფანჯრიდან ზღვისა და ჩამავალი მზის ყურება მოსწონდა. მწერლის ფოტოარქივში დაცულ ერთ-ერთი ფოტოსურათზე მას აფხაზი მწერლების - დიმიტრი გულუას, ხუხუტი ბღაჟბას, ბაგრატ შინკუბას - გვერდით ვხედავთ.

გალაკტიონის ცნობილი ლექსის -„გამარჯობა, აფხაზეთო შენი" დაწერასთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიას იხსენებენ. გალაკტიონი გერონტი ქიქოძესთან ერთად სოხუმში ნაცნობ ოჯახს სტუმრობდა, სადაც მას მოუსმენია ქეთევან ჯაფარიძის წაკითხული მისი ლექსი. მისით აღფრთოვანებულა გალაკტიონი და რაღაც დაუწერია ხელსახოცზე, რომელიც გორონტიმ მაშინვე ჩუმად ჯიბეში ჩაიდო. ცოტა ხანში დაიბეჭდა ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი". ქეთევანს სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ ამ ლექსში მოხსენიებული მშვენიერი ქალი თავად იყო, რომელმაც "გადიწერა ჩუმად" მისი ლექსი...

აქტივობა 4. ათვისებული ცოდნის შემოწმების მიზნით შეიძლება შევთავაზოთ ტესტი მრავალფეროვანი დავალებებით.

1. დ; 2. დ; 3 ა; 4. გ; 5. დ; 6. ბ;

7. წაიკითხეთ ფრაგმენტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა", დაძებნეთ ნართანიანი მრავლობითის ფორმები და შეავსეთ მოცემული ცხრილი.

8. ა; 9. დ; 10. გ.

ფრაზა ტექსტიდან	**ბრუნვა**	**მისი შესატყვისი -ებიანი მრავლობითის ფორმა**
რას ეძახით **კაცნი** ბოდიშს?	სახელობითი	რას ეძახით **კაცები** ბოდიშს?
ჩვენ, კაცნი, ამას ზრდილობას ვეძახით.	სახელობითი	ჩვენ, კაცები, ამას ზრდილობას ვეძახით.
ბოდიშის მოხდა ვალად გვძე ადამიანის შვილთა.	მიცემითი	ბოდიშის მოხდა ვალად გვძე ადამიანის შვილებს.
რათა ჰპოვოთ რამ სხვა, თვალთათვის საამური	ნათესაობითი	რათა ჰპოვოთ რამ სხვა, თვალისთვის საამური
კაცთა შორის დაიწყებდე საუბარს,	მიცემითი	კაცებს შორის დაიწყებდე საუბარს,
სმენად გადაიქცეოდენ ადამიანის შვილნი;	სახელობითი	სმენად გადაიქცეოდენ ადამიანის შვილები;
შენ შეგეძლო ანგელოზებად გარდაგექმნა კაცნი.	სახელობითი	შენ შეგეძლო ანგელოზებად გარდაგექმნა კაცები.
გიყვარდეთ კაცნო, ერთმანერთი!	წოდებითი	გიყვარდეთ კაცებო, ერთმანერთი!
ჩემს მკერდზე ვერაფერი ამოშლის წყალთა და ზვავთა ნაკვალევს.	ნათესაობითი	ჩემს მკერდზე ვერაფერი ამოშლის წყლისა და ზვავის ნაკვალევს.

აქტივობა 5. თანდებულების მართლწერასთან დაკავშირებული ცოდნის შემოწმება ტესტური დავალებებით:

1. ბ; 2. დ; 3. გ; 4. დ; 5. ბ; 6. 1; 7. ბ; 8. გ; 9. სახელობითი - შეშლილივით; მიცემითი -წიწამურში, ნათესაობითი - ბეთანიისაკენ; მოქმედებითი - შოვიდან; ვითარებითი - ცეცხლამდის.

N	დებულება	ჭეშმარიტია	მცდარია	ნაკლულია
1	თანდებულები ქართულში 5 ბრუნვის ფორმას დაერთვის.	X		
2	თანდებულები ქართულში სახელის ფუძესთან შერწყმულად იწერება.			X
3	-ვით თანდებული ორ ბრუნვაში გვხვდება.	X		
4	მიცემით ბრუნვას დაერთვის როგორც ფუძესთან შერწყმული, ასევე ცალკე მდგომი თანდებულები.	X		
5	ნათესაობით ბრუნვაში თანდებულები მხოლოდ ფუძის გავრცობილ ფორმას დაერთვის.		X	
6	მოქმედებით ბრუნვაში გვხვდება მხოლოდ ფუძესთანშერწყმული თანდებულები -ურთ და -დან.		X	
7	ვითარებით ბრუნვაში თანდებულის დართვისას ნარჩუნდება ბრუნვისნიშნისეული ა ხმოვანი.			X
8	ცალკემდგომი თანდებულები გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში.			X
9	ნათესაობით ბრუნვაში თანდებული -თანავე მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს დაერთვის.	X		
10	თანდებული დამხმარე სიტყვაა და ის ცალკე სიტყვათა კლასს არ ქმნის.		X	

აქტივობა 4. ტექსტის რედაქტირებაზე მუშაობა.

„გამარჯობა, ირაკლი,

არ ვიცი, რამდენი ხანია არ მომიწერია. აქ დრო უცნაურად გადის — ხან ძალიან სწრაფად გარბის, ხან კიდევ ისე იწელება, თითქოს ეს ჩვეულებრივი დღეები მთელი საუკუნეებია.

ხშირად მახსენდება საღამოობით ჩვენი უბანის სკვერში ჯდომა, მუსიკის მოსმენა და უაზრო რაღაცებზე სიცილი. აქ ასეთი რამ საერთოდ არ ხდება. სკოლის მერე ყველა მაშინვე თავის სახლში მიდის, თავისთვისაა. თავიდან ძალიან მიჭირდა. ენა კი ვიცოდი (ასე მეგონა), მაგრამ, როცა ყველა სწრაფად ლაპარაკობს, თავის ჟარგონებს იყენებს და ხუმრობს, თავს აუტსაიდერად გრძნობ. უბრალოდ იღიმი და თავს აქნევ, თითქოს ყველაფერი გესმის.

თუმცა ნელ-ნელა ვეჩვევი. ერთი თანაკლასელი გავიცანი, ხანდახან ერთად ვუსმენთ ხოლმე ახალ ალბომებს. მაგრამ მაინც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ორ სამყაროს შორის

ვარ გაჭედილი. აქაურებისთვის მაინც „ის ახალი, უცხოელი ბიჭი“ ვარ, არადა ჩემი ქვეყნიდან უკვე წამოსული ვარ. ხანდახან კი ეჭვივით გამიელვებს გონებაში, რომ, როცა ჩამოვალ, ყველაფერი შეცვლილი დამხვდება და მანდ ჩემი ადგილი აღარ იქნება-მეთქი.

აქაური ამბის გაგებაც გენდომება ალბათ, გეტყვი — სკოლა ძალიან ტექნოლოგიურია, საინტერესო წრეებიც აქვთ და სპორტზეც შევედი, რომ ცოტა აზრზე მოვიდე. ხანდახან უბრალოდ მინდება, ჩემს ძველ ოთახში ვიღვიძებდე და ვიცოდე, რომ ხუთ წუთში შენთან ჩამოვალ სალაპარაკოთ.

მომწერე, რა ხდება სკოლაში? აბსოლუტურად ყველაფერი მომიყევი, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი მაინტერესებს. იმედია, მალე გნახავ — ზაფხულის არდადეგებზე ჩამოსვლას ვგეგმავთ.

შენი გიორგი.

საყვარელო მართა,

უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც აეროპორტში ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მახსოვს, მაშინ მითხარი, რომ „ტექნოლოგიების ეპოქაში“ მანძილი აღარაფერს ნიშნავსო, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეკრანს არ შეუძლია ცოცხალი ურთიერთობის შეცვლა.

ჩემი ახალი ცხოვრება ძალიან ჰგავს ფილმს, რომელშიც ხმა გამორთულია და მხოლოდ კადრები მოძრაობს. გარშემო ყველაფერი მოწესრიგებული, ლამაზი და ფერადია, მაგრამ ჩემთვის მაინც უცხოა. სკოლაში თავი ისე მიჭირავს, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თუმცა რეალურად ორმაგი ენერგიის დახარჯვა მიწევს: ჯერ ერთი, რომ მასწავლებლების ნათქვამი სიტყვასიტყვით გავიგო და მეორე — ჩემი ემოციები როგორმე სწორად გამოვხატო. ყველაზე მეტად მაინც იუმორის თარგმნა მიჭირს; აქაურებს სულ სხვა რამეზე ეცინებათ, მე კი ვიხსენებ ჩვენს კლასს და ის ხუმრობები მენატრება.

იცი, რა არის ყველაზე უცნაური? აქ ყოფნამ მასწავლა, თუ რამდენად ძვირფასია ის, რაც ადრე ჩვეულებრივი და ყოველდღიური მეგონა. ახლა სხვანაირად მახსენდება ის თბილი, უშუალო ურთიერთობები, რაც ჩვენთან ბუნებრივად ხდება. აქ ადამიანები ძალიან თავაზიანები არიან, თუმცა მათ შორის ყოველთვის არის უხილავი დისტანციის განცდა.

მიუხედავად ამისა, ვცდილობ, ახალ გარემოს შევეგუო და ჩემი ქვეყნის შესახებ ბევრი რამ მოვუყვე. მინდა, რომ აქაურებმა საქართველო ჩემი საშუალებით გაიცნონ და შეიყვარონ.

გთხოვ, მომწერე, როგორ ხართ? როგორ ჩაიარა მიმდინარე სემესტრმა? ისევ ისე ხმაურობს ჩვენი კლასი დასვენებებზე? ჩემთვის ახლა თითოეული თქვენი ამბის მოსმენა უმნიშვნელოვანესია, რადგან ისინი მინარჩუნებენ კავშირს იმ სახლთან, რომელიც ძალიან მენატრება.

იმედითა და მონატრებით, შენი ელისაბედი.

ბ) I უმცროსკლასელის ნამუშევარი.

ტომ სოიერის დახასიათება

მე მოგიყვებით ერთ ოინბაზზე, რომელსაც ტომ სოიერი ჰქვია. ის ძალიან მოუსვენარი, მაგრამ გონიერი ბიჭია. ის დეიდა პოლისთან ერთად ცხოვრობს და ხშირად აბრაზებს მას თავისი ოინებით, თუმცა გულის სიღრმეში კეთილია და თავისი დეიდა ძალიან უყვარს.

ტომს არ უყვარს სკოლაში სიარული, გაკვეთილების სწავლა და ეკლესიის სკამზე წყნარად ჯდომა. სამაგიეროდ, ძალიან უყვარს თავგადასავლები და მდინარე მისისიპზე ხეტიალი. მეგობრებთან თამაშში როცა ერთვება, ის ნამდვილი ლიდერია. ეს კარგად ჩანს მაშინ,

როდესაც მან მეგობრებს ღობის შეღებვა დიდ გასართობად მოაჩვენა და სამუშაო სხვებს შეასრულებინა, თავად კი მათი სათამაშოები მიიღო საჩუქრად.

მიუხედავად იმისა, რომ ტომი ხშირად იტყუება და ყველა წესს არღვევს, მას კარგი გული აქვს. ის ერთგული მეგობარია — ჰეკლბერ ფინს არასდროს ტოვებს გასაჭირში და ბეკი ტეტჩერის გადასარჩენად გამოქვაბულში ყველაფერს აკეთებს. ტომი მამაცი ბიჭია, რადგან სასამართლოზე სიმართლის თქმა არ შეეშინდა, რითაც უდანაშაულო ადამიანი იხსნა.

ჩემი აზრით, ტომ სოიერი ძალიან საინტერესო პერსონაჟია, რადგან მასთან ერთად არასდროს მოიწყენ. ის გვასწავლის, მეგობრობისა და სიმამაცის აზრს.

ბ) II უმცროსკლასელის ნამუშევარი.

პეპი გრძელიწინდას დახასიათება

პეპი გრძელიწინდა ჩემი საყვარელი პერსონაჟია. ის ძალიან უცნაური, მხიარული და საინტერესო გოგონაა. პეპი ცხრა წლისაა და მარტო ცხოვრობს ვილა „ყურდღელაში“ თავის მაიმუნ ბატონ ნილსონთან და დიდ ცხენთან ერთად.

გარეგნობით პეპი ძალიან განსხვავებული და სასაცილოა. მას აქვს სტაფილოსფერი თმები, რომლებიც ორ ნაწნავადაა გაჩხერილი, უამრავი ჭორფლი ცხვირსა და ლოყებზე, და სხვადასხვანაირი წინდები — ერთი ყავისფერი და მეორე შავი. კიდევ, მას თავის ფეხზე ბევრად დიდი ფეხსაცმელები აცვია.

ყველაზე მეტად პეპიში მისი უცნაური ძალა და კეთილი გული მომწონს. ის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გოგონაა — შეუძლია თავისი ცხენი ხელში აიტაცოს, ან გაბრაზებული პოლიციელები სახურავზე შემოსვას. პეპის არ უყვარს სკოლაში სიარული და არ იცავს არცერთ წესს, მაგრამ სამაგიეროდ იცის მეგობრის ფასი. ის ტომისა და ანიკას ყოველთვის უზიარებს თავის სათამაშოებსა და ტკბილეულს.

ჩემი აზრით, პეპისთან ერთად ცხოვრება არასოდეს იქნებოდა მოსაწყენი. ის გვასწავლის, რომ მთავარია ვიყოთ კეთილები, მხიარულები და არ შეგვეშინდეს იმის, რომ სხვებს არ ვგავართ.

შემაჯამებელი დავალება ქართულ ენაში N

(3) 1. მოცემულ წინადადებაში გამოტოვებული სიტყვები - ამბავი, სიამაყე - ჩასვით სათანადო ადგილას მართებული ფორმით:

კრწანისის ველზე გმირულად დაცემული სამასი არაგველის ამბის გაცოცხლება ჩვენში ეროვნული სიამაყის განცდას ამძაფრებს.

(4) 2. ა) მოცემულ წინადადებაში მოძებნეთ შეცდომები, გაასწორეთ და წინადადება ისე გადაწერეთ.

ბ) ახსენით, რა უნდა იცოდეთ, რომ არ დაუშვათ მსგავსი შეცდომა.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპოქალურმა ჰუმანიზმა ქართული აზროვნება რენესანს დაუკავშირა.

ა) ჰუმანიზმა;

ბ) ჰუმანიზმი თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელია, რომლის ფუძე ბოლოვდება „მ“ თანხმოვანზე, ამიტომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის (მა) დართვისას ორი „მ“ მოიყრის თავს.

(3) 3. შესაბამისობა.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ, რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები.

ფარსმან ქველის ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ქანდაკება რომში მარმარილოს კვარცხლბეკზე აღუმართავთ, ზედაპირისთვის კი ანტიკური საბერძნეთის ოსტატები ოქროს იყენებდნენ.

სიტყვა	ბრუნვა
ბრინჯაოსგან	ნათესაობითი
მარმარილოს	მიცემითი
ოქროს	მიცემითი

(4) 4. ყურადღებით წაიკითხეთ სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის წესები და განსაზღვრეთ, დებულება სწორადაა ჩამოყალიბებული, მცდარია თუ არასაკმარისი ინფორმაციაა.

N	დებულება	ჭეშმარიტია	მცდარია	ინფორმაცია არასრულყოფილია
1	თანხმოვანფუძიანი სახელები შეიძლება იყოს უკუმშველიც და კუმშვადიც	X		
2	ხმოვანფუძიანი სახელები მოიკვეცს ბოლოკიდურ ხმოვანს			X
3	კუმშვის დროს ფუძიდან ამოვარდება ხმოვანი ბგერა.			X
4	შეუძლებელია ერთდროულად ფუძეში მოხდეს კუმშვაც და კვეცაც.		X	

მოსწავლის წიგნში მოცემული დავალებების სწორი პასუხები

თავი 1.
1. ენის სახლი და სიტყვის ცხოვრება
2. სიტყვათა გრამატიკული კლასები, ანუ მეტყველების ნაწილები
დავალება 1.
ფორმაცვალებადი: შველი, თოვლი, მუხა, მზე.
ფორმაუცვლელი: და, ისევ, რომ, მაგრამ, მერე, ხან.

თავი 2.
1. არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით
დავალება 1.

„ვინ“	„რა“	სულიერი	უსულო
მეფე პაპა გოგონა მეომარი	ისარი ხოხობი წყალი ამბავი დათვი ნუში ატამი ვაშლი მსხალი ტყემალი ყვავილი მზე ფიჭვნარი ველი ცხენი მიწა ალმური ტყე ძაღლი თოფი ყეფა სროლა ბუ შიში მუხა ფუღურო	მეფე ხოხობი პაპა დათვი გოგონა მეომარი ძაღლი ცხენი ბუ	ისარი წყალი ამბავი ნუში ატამი ვაშლი მსხალი ტყემალი ყვავილი მზე ფიჭვნარი ველი მიწა ალმური ტყე თოფი ყეფა სროლა შიში მუხა ფუღურო

დავალება 2.
საზოგადო

მთქმელი – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
მოჭიდავე – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ფალავანი – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
წერო – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
წნორი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
თარი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
გლეხი – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ხელი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
მონადირე – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
მეთევზე – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
მეწისქვილე – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ოცნება – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
ბებია – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
წუთისოფელი – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
უდაბნო – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ეზო – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ონკანი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.

პირი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
პაპა – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ამბავი – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
ისარი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ხოხობი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.

საკუთარი
პატარძეული – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
დარიალი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ხაზარეთი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ივერია – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
მტკვარი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ტბეთი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
შატბერდი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ელეფთერი – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ელიოზი – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ანა – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ბაკური – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
უშიშა – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ვახტანგ – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
გორგასლანი – „ვინ“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.

დავალება 3.

კრებითი
ცხვარი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ფარა – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
საქონელი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ნახირი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ქარავანი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
რემა – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ჯოგი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
ცხენი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.
გუნდი – „რა“ ჯგუფის, სულიერი, კონკრ.

ნივთიერებათა
ღვინო – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
წყალი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ვერცხლი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ოქრო – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ტყვია – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ფოლადი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.

მოქმედების
მგზავრობა – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
გალობა – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
გაცნობა – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
დაბნევა – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
გამარჯვება – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.

ბრწყინვა – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
აჩქარება – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
განცვიფრება – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
შრიალი – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
ბრძოლა – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
ქროლა – „რა“ ჯგუფის, უსულო, აბსტრ.
შეძახება – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.
სუნთქვა – „რა“ ჯგუფის, უსულო, კონკრ.

2. არსებითი სახელის ბრუნება. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი

დავალება 1.
სახელობითი – **სახ.**
მოთხრობითი – **მოთ.**
მიცემითი – **მიც.**
ნათესაობითი – **ნათ.**
მოქმედებითი – **მოქ.**
ვითარებითი – **ვით.**
წოდებითი – **წოდ.**

დავალება 2.
სახელობითი: ქუდი, სინათლე, ზამთარი, ღმერთი, მობანე, მბერტყავი, შობა. ნისლი, ბანი, სიბნელე, ბებია, დედაჩემი, კარი, სამურა.
მოთხრობითი:
მიცემითი: ალავერდობას, ყაბალახს, ზამთარს, მთქმელს, მღვდელს, კაკლებს, ფეხს, ხორცს, ღუმელს, ნერწყვს.
ნათესაობითი: ზამთრის, სოფლის, კაკლის, ხეხილის, თოვლის, გომურის, ღორის.
მოქმედებითი: გაგიჟებით, დანით.
ვითარებითი:
წოდებითი:

ბრუნვის ფორმა ტექსტში	**ბრუნება**	**ბრუნვის ფორმა ტექსტში**	**ბრუნება**
სახლის (1) სახლით (2) სახლო (3) სახლს (4) სახლად (6) სახლი (7) სახლო (9) სახლმა (11)	სახ. სახლი მოთ. სახლმა მიც. სახლს ნათ. სახლის მოქ. სახლით ვით. სახლად წოდ. სახლო	კარი (1) კარო (3) კარით (5) კართან (5) კარსაც (7) კარის (8) კარმა (10) კარად (12)	სახ. კარი მოთ. კარმა მიც. კარს ნათ. კარის მოქ. კარით ვით. კარად წოდ. კარო

დავალება 4.
ერთ-ერთი შესაძლებელი გადაწყვეტის ნიმუში:
მათემ გუშინ რაგბის თამაშისას მუხლი დაიზიანა და შინ კოჭლობით მივიდა. დილით რომ გაეღვიძა, ტკივილი თითქოს აღარ აწუხებდა. მაგრამ სავარჯიშოდ რომ წავიდა, ტკივილმა თანდათანობით შეახსენა თავი. თავიდან ტკივილს ასე თუ ისე უმკლავდებოდა, შემდეგ კი ტკივილის გაძლება შეუძლებელი აღმოჩნდა. ბიჭმა გუნდის გამოცდილ ექიმს მიაკითხა. მან ტკივილით გამოწვეული შეგრძნებები გამოჰკითხა, ნემსი გაუკეთა და დაბეჟილი ადგილი

სპირტით დაუზილა. იქიდან რომ გამოვიდა, უსიამოვნო შეგრძნება კიდევ ჰქონდა, მაგრამ ეს ტკივილი ტკივილად აღარ ითქმოდა. მათე ხალისით ჩაება თამაშში, მალე ლელოც ჩაიწერა მის ანგარიშში და გულში სიამაყით თქვა: „შენ რას დამაკლებ, ტკივილო!“

3. სახელის ფუძე და ბრუნვის ნიშნები

დავალება 1.

სახ.	-ი
მოთ.	-მა
მიც.	-ს
ნათ.	-ის
მოქ.	-ით
ვით.	-ად
წოდ.	-ო

დავალება 2.

ფუძეთანხმოვნიანი	ფუძეხმოვნიანი
მაგიდ-ის	ძმა-მ
გველ-ს	წყარო-ს
ბარტყ-მა	ტყ-ით
მეგობარ-ო	მზ-ის
მგლ-ის	ღამ-ის
ცხენ-ი	ეზო-ს
მერცხლ-ად	თივ-ით
სოფელ-ო	ხურო-დ
გვერდ-ს	მელია-დ
მატარებლ-ის	წერო-სი
სარკმლ-ით	
ხალხ-ი	
ბლ-ის	
მსხლ-ით	
კალამ-მა	
თევზ-ს	
მეზობელ-ო	
საძირკველ-ი	
წიგნ-მა	
ჩანჩქერ-ს	
სკამ-ით	
კურდღელ-მა	
კარვ-ის	
მასწავლებლ-ად	
მხატვარ-ო	

დავალება 3.

ფუძეთანხმოვნიანი: პირი, ჩრდილი, ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, ქორი, ველი, ნისკარტი, ციყვი, წელი, ცეცხლი, ბურთი, მოედანი, კოჭრი, ასანთი, კოლოფი, სიცილი, წივილი, ნაფლეთი, ქარი, ხანი, გაზაფხული, შვილიშვილი, ჭარმაგი, ადგილი, ნაჭრილობევი, ჟრიამული, ხელი.

ფუძეხმოვნიანი: მუხა, ტყე, რკო, საუკუნე, კენწერო, კოდალა, ვალდებულება, ხე, თელა, მონადირე, სუფრა, პურობა, სმა, როლა, ტყვია, სიმწარე, გულხეთქება, ჭრილობა, მიწა, თვე, ია, გოგონა.

4. ფუძეთანხმოვნიანი სახელები. ფუძის კუმშვა

დავალება 1.

სახ.	ბარათ-ი	დათვ-ი	გვერდ-ი	ქალაქ-ი
მოთ.	ბარათ-მა	დათვ-მა	გვერდ-მა	ქალაქ-მა
მიც.	ბარათ-ს	დათვ-ს	გვერდ-ს	ქალაქ-ს
ნათ.	ბარათ-ის	დათვ-ის	გვერდ-ის	ქალაქ-ის
მოქ.	ბარათ-ით	დათვ-ით	გვერდ-ით	ქალაქ-ით
ვით.	ბარათ-ად	დათვ-ად	გვერდ-ად	ქალაქ-ად
წოდ.	ბარათ-ო	დათვ-ო	გვერდ-ო	ქალაქ-ო

დავალება 2.

სახ.	კოკორ-ი	ძვალ-ი	ჭიშკარ-ი	ყასაბ-ი	ბეჭედ-ი
მოთ.	კოკორ-მა	ძვალ-მა	ჭიშკარ-მა	ყასაბ-მა	ბეჭედ-მა
მიც.	კოკორ-ს	ძვალ-ს	ჭიშკარ-ს	ყასაბ-ს	ბეჭედ-ს
ნათ.	კოკრ-ის	ძვლ-ის	ჭიშკრ-ის	ყასბ-ის	ბეჭდ-ის
მოქ.	კოკრ-ით	ძვლ-ით	ჭიშკრ-ით	ყასბ-ით	ბეჭდ-ით
ვით.	კოკრ-ად	ძვლ-ად	ჭიშკრ-ად	ყასბ-ად	ბეჭდ-ად
წოდ.	კოკორ-ო	ძვალ-ო	ჭიშკარ-ო	ყასაბ-ო	ბეჭედ-ო

დავალება 3.

უკუმშველი: ვენახი, თავადი, მამული, გვირაბი, ღარიბი, გარეუბანი, ტაძარი, ქვაბი, საკლავი.

კუმშვადი: მატარებელი, პირჯვარი, მონასტერი, ჭერამი, სტუმარი, მასპინძელი, ბუხარი, საყდარი, გალავანი, კედელი, შადრევანი, შავარდენი.

დავალება 4.

1. მტკვრის; 2. ლერწმის; 3. ძვლები; 4. ორთქლმავლების; 5. დედინაცვლის; 6. წუთისოფლის; 7. თავშესაფრიდან; 8. სავარძლის; 9. ღრუბლად; 10. ატმის, მსხლის, ტყემლის; 11. ხმლის; 12. მოედნიდან; 13. ფანჯრიდან; 14. ხმლის; 15. პამიდვრის; 16. ქარიშხლის; 17. მწყრები.

5. ფუძეხმოვნიანი სახელები. ფუძის კვეცა

დავალება 1.

ბრუნვები	უკუმშველი	უკვეცელი	კვეცადი	კუმშვად-კვეცადი
სახ.	-ი	-	-	-
მოთ.	-მა	-მ	-მ	-მ
მიც.	-ს	-ს	-ს	-ს
ნათ.	-ის	-ს(ი)	-ის	-ის
მოქ.	-ით	-თი	-ით	-ით
ვით.	-ად	-დ	-დ	-ად
წოდ.	-ო	-ვ	-ვ	-ვ

დავალება 2.

სახ.	ბებერა	წყარო	კუ	ეკალა	წიწიბო	ჩაი
მოთ.	ბებერა-მ	წყარო-მ	კუ-მ	ეკალა-მ	წიწიბო-მ	ჩაი-მ
მიც.	ბებერა-ს	წყარო-ს	კუ-ს	ეკალა-ს	წიწიბო-ს	ჩაი-ს
ნათ.	ბებერა-ს(ი)	წყარო-ს(ი)	კუ-ს(ი)	ეკალა-ს(ი)	წიწიბო-ს(ი)	ჩაი-ს(ი)
მოქ.	ბებერა-თი	წყარო-თი	კუ-თი	ეკალა-თი	წიწიბო-თი	ჩაი-თ(ი)
ვით.	ბებერა-დ	წყარო-დ	კუ-დ	ეკალა-დ	წიწიბო-დ	ჩაი-დ
წოდ.	ბებერა-ვ	წყარო-ვ	კუ-ო/ვ	ეკალა-ვ	წიწიბო-ვ	ჩაი-ვ

დავალება 3.

სახ.	ზღვა	მთვარე	მანქანა	კლდე	მხარე
მოთ.	ზღვა-მ	მთვარე-მ	მანქანა-მ	კლდე-მ	მხარე-მ
მიც.	ზღვა-ს	მთვარე-ს	მანქანა-ს	კლდე-ს	მხარე-ს
ნათ.	ზღვ-ის	მთვარ-ის	მანქან-ის	კლდ-ის	მხრ-ის
მოქ.	ზღვ-ით	მთვარ-ით	მანქან-ით	კლდ-ით	მხრ-ით
ვით.	ზღვ-ად	მთვარე-დ	მანქანა-დ	კლდე-დ	მხრ-ად
წოდ.	ზღვა-ვ	მთვარე-ვ	მანქანა-ვ	კლდე-ვ	მხარე-ვ

დავალება 4.

უკვეცელი: ხაროში (ხარო), უდაბნო, სამშობლო, ჩარჩო.

კვეცადი: წყალმცენარეების (წყალმცენარე), სისველე, ორთვალაზე (ორთვალა), მუხის (მუხა), მაგიდის (მაგიდა), ია, სიმღერას (სიმღერა), ბებია, სამოთხეზედა (სამოთხე), კაბინის (კაბინა), გზის (გზა), სარკისაგან (სარკე), სიჩუმით (სიჩუმე), მთვარით (მთვარე), არემარე, ღამით (ღამე), მუშები (მუშა), მდინარის (მდინარე), წყალდიდობისაგან (წყალდიდობა), ხეების (ხე) გარემოების (გარემოება),მიწისა (მიწა), ცისა (ცა), სასახლის (სასახლე), ფარდები (ფარდა).

კუმშვად-კვეცადი: პეპელა, ქვეყნის (ქვეყანა), ფანჯრიდან (ფანჯარა) ქარხნიდან (ქარხანა), ფანჯარას (ფანჯარა).

დავალება 5.

1. პაპის; 2. პეპლის; 3. რცხილის; 4. მანქანის; 5. ფანჯრის; 6. ჭიანჭველის; 7. ფანჯრიდან; 8. ტომრიდან; 9. პეპლის; 10. ქვეყნის; 11. ღვინით; 12. მოყვრისთვის; 13. ხელადის; 14. წინდის; 15. ბაგიდან.

6. ბრუნების ტიპები

დავალება 1.

სახ.	საბელ-ი (2)	ვაშლ-ი (1)	ქარხანა (5)	თარო (3)	სარკე (4)
მოთ.	საბელ-მა	ვაშლ-მა	ქარხანა-მ	თარო-მ	სარკე-მ
მიც.	საბელ-ს	ვაშლ-ს	ქარხანა-ს	თარო-ს	სარკე-ს
ნათ.	საბლ-ის	ვაშლ-ის	ქარხნ-ის	თარო-ს(ი)	სარკ-ის
მოქ.	საბლ-ით	ვაშლ-ით	ქარხნ-ით	თარო-თი	სარკ-ით
ვით.	საბლ-ად	ვაშლ-ად	ქარხნ-ად	თარო-დ	სარკე-დ
წოდ.	საბელ-ო	ვაშლ-ო	ქარხანა-ვ	თარო-ვ	სარკე-ვ

დავალება 2.

1. უკუმშველი: თოვლი, დაღმართის, მკლავებს, თითებს, ჰაერს, მკერდი, ფეხები, ხელების, თვალებს, აღმართი, ცხენი, ფეხის, მონღოლი, ზუჩის, კუდებივით, ბეწვები, ბიჭებს, ადგილს, ცხენს, ფოცხვერივით, ჯოხი.
2. კუმშვადი: სიზმარში, წყალზე, სოფლის.
3. უკვეცელი:
4. კვეცადი: მიწის, ღობისკენ, მელიის, ქვებზე, მიწაზე.
5. კუმშვად-კვეცადი: მხრიდან.

დავალება 3.

1. ღმრთის; 2. ამბად; 3. ღვინის; 4. ამბით; 5. დროით; 6. ღმრთისაგან; 7. ატმით; მატარებლით; 8. მხრის; 9. შვლის; 10. სარკით; 11. ფურცლის; 12. პამიდვრით; 13. ალუბლისა; წყლისა; 14. ღვინით; 15. ზამთრით; 16. საძირკვლით; 17. დედოფლის; 18. ქარიშვლის; 19. ამბიდან, ამბამდე; 20. ღმრთის; 21. მზიდან; 22. საფუძვლიდან; 23. საუზმიდან, ვახშმამდე.

7. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა

დავალება 1.

სახ.	სახრე	სეტყვა	ღრიჭო	კუ	ბურთ-ი	კუთხე
მოთ.	სახრე-მ	სეტყვა-მ	ღრიჭო-მ	კუ-მ	ბურთ-მა	კუთხე-მ
მიც.	სახრე-ს(ა)	სეტყვა-ს(ა)	ღრიჭო-ს(ა)	კუ-ს(ა)	ბურთ-ს(ა)	კუთხე-ს(ა)
ნათ.	სახრ-ის(ა)	სეტყვ-ის(ა)	ღრიჭო-ს(ი)	კუ-ს(ი)	ბურთ-ის(ა)	კუთხ-ის(ა)
მოქ.	სახრ-ით(ა)	სეტყვ-ით(ა)	ღრიჭო-თი	კუ-თი	ბურთ-ით(ა)	კუთხ-ით(ა)
ვით.	სახრე-დ(ა)	სეტყვა-დ(ა)	ღრიჭო-დ(ა)	კუ-დ(ა)	ბურთ-ად(ა)	კუთხე-დ(ა)
წოდ.	სახრე-ვ	სეტყვა-ვ	ღრიჭო-ვ	კუ-ო/ვ	ბურთ-ო	კუთხე-ვ

დავალება 2.

გაუვრცობელი: მტრის (ნათ.); მეზობლის (ნათ.); მამალს (მიც.); შემოსვლას (მიც.); მტერს (მიც.); ომს (მიც.); ფარ-ხმალს (მიც.); მამლების (ნათ.); გულისფანცქალით (მოქ.); თვალს (მიც.); გმირის (ნათ.); ბრძოლას (მიც.); მკერდს (მიც.); საყივრებს (მიც.); ყელს (მიც.); ჯიჯლიბოს (მიც.); ნისკარტს (მიც.); დეზებს (მიც.); თვალებით (მოქ.); მამალს (მიც.); მამლის (ნათ.); სიმამაცეს (მიც.); ქათმებს (მიც.); პატრონს (მიც.); ფრთებს (მიც.); დედალს (მიც.); ქორს (მიც.); მამალს (მიც.); ნისკარტის (ნათ.).

გავრცობილი: ქუდსა (მიც.); მტერსა (მიც.); ბრძოლისაგან (ნათ.); მტვრისაგან (ნათ.); ქათმებისათვის (ნათ.).

დავალება 3.

1. ჯოხებითა; 2. ვედრებას; 3. ბობოქრობითა; 4. ხმით; 5. გულადობითა; 6. თოვლსა; 7. შებრალებასა; 8. ეტლს; 9. ოჯახისა; 10. ჭისა; 11. დედასა; 12. ზღვისა; 13. მთის, ქვებისა; 14. დაჩვეულს; 15. შევარდნად; 16. გზის; 17. კავკასიონს; 18. მთას, აღმოსავლეთს; 19. ძაღლს, საქონელს; 20. ხმითა; 21. ფრინველის - არწივის; 22. ტკეპნას; 23. შვილსა; 24. მეზობლის; 25. სიკეთით.

8. საკუთარ სახელთა ბრუნება

დავალება 1.

გვარი და სახელი ერთად, ანბანთრიგით	სახელი და გვარი ერთად, ანბანთრიგით
აბაშიძე ცოტნე	ცოტნე აბაშიძე
ბარათელი ტერენტი	ტერენტი ბარათელი
ბართაია ჯიმშერ	ჯიმშერ ბართაია
გავაშელიშვილი ქართლოს	ქართლოს გავაშელიშვილი
ერისთავი უშანგ	უშანგ ერისთავი
თევდორაშვილი ტიტე	ტიტე თევდორაშვილი
თორთლაძე ეთერ	ეთერ თორთლაძე
კაციტაძე სოფრომ	სოფრომ კაციტაძე
ლოლუა ყარამან	ყარამან ლოლუა
მანწკავა დაჩი	დაჩი მანწკავა
პაატაშვილი ლალი	ლალი პაატაშვილი
პატაშური ნოდარ	ნოდარ პატაშური
ტულუში მაქსიმე	მაქსიმე ტულუში
ქურხული ნუგზარ	ნუგზარ ქურხული
ღოლოძე პაპუნა	პაპუნა ღოლოძე
ღურწკაია მალხაზ	მალხაზ ღურწკაია
ჩიქოვანი გრიგოლ	გრიგოლ ჩიქოვანი
ჩოხელი ნესტან	ნესტან ჩოხელი
ძიმისტარაშვილი გივი	გივი ძიმისტარაშვილი
წერეთელი ბეჟან	ბეჟან წერეთელი

დავალება 2.

1. კაკუშაძის; 2. დაჩიმ, გორგასლის; 3. ნუგზარმა; 4. მაჩაბელი, მაჩაბლის; 5. ალაზნის; 6. დარეჯანის; 7. გეგუჩაძე; 8. პაატა; 9. გვარამაძე; 10. მცხეთავ.

დავალება 3.

1. აბაშიძე; 2. ოთარმა; 3. შალამბერიძე; 4. მტკვრისა; 5. გოდერძი; 6. ალუდა; 7. წერეთლისა; 8. ვაჟა; 9. ეთერმა; 10. ზურაბ! 11. კაკალაშვილო; 12. თევდორე; 13. მიხეილ! 14. მერაბმა; 15. ეთერ! 16. ტაბიძე; 17. დიღმის, ნატახტრის; 18. უზნაძის; 19. გუბაზ; 20. მტკვრის; 21. მაქსიმე; 22. მაჩაბლის; 23. ალაზნიდან; 24. თამაზთან.

9. არსებითი სახელის რიცხვის წარმოება

დავალება 1.

ბრუნვა	ებიანი	ნართანიანი	ებიანი	ნართანიანი
სახ.	მეგობრ-ებ-ი	მეგობარ-ნ-ი	ფრინველ-ებ-ი	ფრინველ-ნ-ი
მოთ.	მეგობრ-ებ-მა	მეგობარ-თ(ა)	ფრინველ-ებ-მა	ფრინველ-თ(ა)
მიც.	მეგობრ-ებ-ს	„_____“	ფრინველ-ებ-ს	„_____“
ნათ.	მეგობრ-ებ-ის	„_____“	ფრინველ-ებ-ის	„_____“
მოქ.	მეგობრ-ებ-ით	----------	ფრინველ-ებ-ით	----------
ვით.	მეგობრ-ებ-ად	----------	ფრინველ-ებ-ად	----------
წოდ.	მეგობრ-ებ-ო	მეგობარ-ნ-ო	ფრინველ-ებ-ო	ფრინველ-ნ-ო

ბრუნვა	ებიანი	ნართანიანი	ებიანი	ნართანიანი
სახ.	ტოროლ-ებ-ი	ტოროლა-ნ-ი	წინაპრ-ებ-ი	წინაპარ-ნ-ი
მოთ.	ტოროლ-ებ-მა	ტოროლა-თ(ა)	წინაპრ-ებ-მა	წინაპარ-თ(ა)
მიც.	ტოროლ-ებ-ს	„_____“	წინაპრ-ებ-ს	„_____“
ნათ.	ტოროლ-ებ-ის	„_____“	წინაპრ-ებ-ის	„_____“
მოქ.	ტოროლ-ებ-ით	----------	წინაპრ-ებ-ით	----------
ვით.	ტოროლ-ებ-ად	----------	წინაპრ-ებ-ად	----------
წოდ.	ტოროლ-ებ-ო	ტოროლა-ნ-ო	წინაპრ-ებ-ო	წინაპარ-ნ-ო

ბრუნვა	ებიანი	ნართანიანი
სახ.	მდინარე-ებ-ი	მდინარე-ნ-ი
მოთ.	მდინარე-ებ-მა	მდინარე-თ(ა)
მიც.	მდინარე-ებ-ს	„_____“
ნათ.	მდინარე-ებ-ის	„_____“
მოქ.	მდინარე-ებ-ით	----------
ვით.	მდინარე-ებ-ად	----------
წოდ.	მდინარე-ებ-ო	მდინარე-ნ-ო

დავალება 2.

1. გლეხ-ნ-ი, აზნაურ-ნ-ი, თავად-ნ-ი, სამღვდელო-ნ-ი, იმერ-ნ-ი, ამერ-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.); 2. ოს-ებ-ს (ებიანი, მიც. ბრ.); თივ-ებ-ი (ებიანი, სახ. ბრ.); 3. ლაშქარ-ნ-ი, დროშა-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.); 4. ნაფუძრ-ებ-ს, მეწყერე-ებ-ს, ტრამალ-ებ-ს (ებიანი, მიც. ბრ.); 5. მღვდელმთავარ-ნ-ი, თავად-ნ-ი, სარდალ-ნ-ი, სახლთუხუცეს-ნ-ი, მდივანბეგ-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.); 6. საკეტურ-ებ-ი, ტაძრ-ებ-ი (ებიანი, სახ. ბრ.); 7. აჩრდილ-ებ-ი (ებიანი, სახ. ბრ.); 8. ძაღლ-ებ-მა-ც, მშივ-ებ-მა, მუცელგალასტულ-ებ-მა, გაალმასებულ-ებ-მა (ებიანი, მოთ. ბრ.); 9. ძმათ, სალოცავთ (ნართანიანი, ნათ. ბრ.); 10. დეკა-ნ-ი, ბალახ-ნ-ი, ქვა-ნ-ი, ქვიშა-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.); 11. გვერდ-ებ-ზე (ებიანი, მიც. ბრ.), თოვლ-ებ-ი (ებიანი, სახ. ბრ.); 12. მეციხოვნე-ებ-ი (ებიანი, სახ. ბრ.); 13. პაპ-ებ-ზე (ებიანი, მიც. ბრ.); 14. ფრთ-ებ-ით (ებიანი, მოქ. ბრ.); 15. კოშკ-ებ-ი (ებიანი, სახ. ბრ.); 16. წყალ-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.), ტყე-თ (ნართანიანი, მიც. ბრ.), ტყე-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.), მდინარე-თ (ნართანიანი, მიც. ბრ.), ყვავილ-ნ-ი (ნართანიანი, სახ. ბრ.), მცენარე-თ მდინარე-თ (ნართანიანი, მიც. ბრ.); 17. წინაპარ-თ (ნართანიანი, მიც. ბრ.), საფლავებს (ებიანი, მიც. ბრ.); 18. დროთა (ნართანიანი, ნათ. ბრ.) 19. მწერების (ებიანი, ნათ ნათ. ბრ.) მჟლეტელთ ((ნართანიანი, მიც. ბრ.); 20. მთათა (ნართანიანი, მოთ. ბრ.) გვირგვინნი მეფურნი (ნართანიანი, სახ. ბრ.), თვალთა(ნართანიანი, მიც. ბრ.); 21. გვირგვინებს (ებიანი, მიც. ბრ.) ძველთა რაინდთა (ნართანიანი ნათ. ბრ.); 22. კლდეთ (ნართანიანი, ნათ. ბრ.), ჯურღმულებში (ებიანი, მიც. ბრ.) ქარების (ებიანი, მიც. ბრ.) 23. ხელოვანთა (ნართანიანი, ნათ. ბრ.), კონცერტები (ებიანი, სახ. ბრ.), მოედნებს (ებიანი, მიც. ბრ.); 24. ლაშქარნი, დროშანი(ნართანიანი, სახ. ბრ.), წინაპართა ძეგლების (ნართანიანი, ნათ. ბრ.).

დავალება 3.

იღებდა ხელში იოსები და მახლობელ ყუთებში [არ ენაცვლება], სკივრებსა [არა] და ზანდუკებში [არა] ალაგებდა: შინდისფერ არშიებით [არა] შემკულ, მოოქრულ ფაიფურის ჭურჭელთ. წერწეტ ვერცხლის შანდალთ, ვერცხლისავე ბადიათ, პატიოსანი თვლებით [არა] შემკულ ხატთ, ერანული მინანქრით მოჩითულ ლარნაკთ, ოქროს ზარნიშით მოოჭვილ ქამარ-ხანჯალთ, პაწია ყუთთ, მომსხო ბრილიანტთა ბეჭდებით [არა], მანიაკებით [არა] და ოქროს სამაჯურებით [არა] სავსეს. ძვირფას ბეწვეულს, ტანისამოსს, ბუხარის და ირანის კრაველთ, ქართულ თასთ, ვერცხლის თუნგთ და აზარფეშათ. ოჯახის მამა ლენცოფანაჭამ-

სავით დარბოდა ოთახში, აღებდა კარადათ, მაგიდების უჯრათ... გლეჯდა კედლებიდან [არა] უშველებელ თექის ნოხთ და ფარდაგთ. მსახურთ გამოჰქონდათ ოთახთაგან ქვესაგებელი, ჭურჭელი, ხელთუნგნი, სპილენძის ტაშტნი, ვერცხლის რახტიანი უნაგირნი, გოლიათური, ვერცხლით შეზიკული ჯიხვის ყანწნი, ვერცხლით მოჭედილი ლეკურნი, სატევარნი, ხავერდგადაკრული მუთაქანი და ურთხმელის ჩრჩოებში ჩასმული სურათნი... მეკურტნე გაოცებული შესცქეროდა კაცის სიმაღლე ფოლადის რაინდის მანეკენს. შორიდან მთლად ცოცხალ კაცს ჰგავდა იგი. თავზე უშველებელი ჯაჭვის ჩაბალახი ეხურა. ტანზე ფოლადის კინენი, პოლოტიკები, საბეჭურები, სამხრეები, სამაჯურები, ხელებზე [არა] ფოლადის თათმანნი, ფეხზე ფოლადისავე საბარკლეები, ფოლადისავე ფეხსამოსელი.

10. თანდებულიანი ბრუნვები

დავალება 1.
სახ. ცეცხლივით
მოთ.
მიც. ლურსმანზე, პირუტყვსავით, მდინარეში, მაგიდასთან, ბუხართან, კედელთან, სახეზე.
ნათ. სკოლისაკენ, ბუნებისათვის, სამხრეთისაკენ, ბრაზისაგან, ელვისებრ, სნეულებისაგან, მოსვლისთანავე, ჩემებრ.
მოქ. თავლიდან, ოჯახითურთ.
ვით.

დავალება 2.
1. საღამომდე; 2. ზოგიერთებივით; 3. ჩემთვის; 4. ხნიდან, იმერეთიდან, ქართლიდან; 5. წიგნებიდან; 6. ცხენზე; 7. კედელთან, ცხვირებზე; 8. აქამდე; 9. გზაზე, ზევიდან, ქვევიდან; 10. მათიაზე და ელგუჯაზე; 11. დილიდან, გვერდიდან, მეორეზე.

დავალება 3.
1. ქვეშ (თანდ.); 2. უკან (თანდ.); 3. ქვეშ (ზმნიზ.); 4. უკან (ზმნიზ.); 5. შუა (თანდ.); 6. წინ (თანდ.); 7. გარშემო (თანდ.); 8. წინ (ზმნიზ.); 9. გარშემო (ზმნიზ.); 10. გამო (თანდ.); 11. იქით (თანდ.); 12. ქვევით (ზმნიზ.); 13. ახლოს (ზმნიზ.); 14. იქით (ზმნიზ.); 15. ახლოს (თანდ.); 16. ქვევიდან (თანდ.).

დავალება 4.
1. ფიჭვნარ-ში (მიც.); 2. ნაგუბარ-ში, მამულ-ში (მიც.); 3. ერობა-ში, ხატობა-ში, მთა-ში, ბარ-ში (მიც.); 4. ყანა-ში, ზვარ-ში, წისქვილ-ში (მიც.); თოფ-ზე (მიც.); 5. თოფნაკრავ-ი-ვით (სახ.); 6. გუმბათ-ი-ვით (სახ.); 7. აფთარ-ი-ვით (სახ.); 8 ტყე-ს-თან, წვიმიან-ში (მიც.); 9. ნაშუადღევ-ის-თვის-ა (ნათ.); 10. მამულ-ის-თვის (ნათ.), ომ-ში (მიც.); 11. ხელად-იდან (მოქ.); ერთმანეთ-ისა-თვის (ნათ.); 12. ტკივილ-ისა-გან (ნათ.); 13. ქარ-ებ-ისა-გან, ყინვ-ებ-ისა-გან (ნათ.); 14. კაც-ისა-გან, მჩაგვრელ-ისა-გან, მგლ-ისა-გან; 15. საქართველო-დგან (გარდამავალი საფეხური); ჩრდილოეთ-ის-კენ (ნათ.); რკალ-სა-ვით (მიც.); სარტყელ-სა-ვით (მიც.); 16. გვირაბ-იდან (მოქ.); გარეუბან-ში (მიც.); 17. ხმალ-ზე (მიც.); 18. ხე-ზე, გან-ზე, ტოტ-ზე (მიც.); 19. იორ-ზე, ვენახ-ში (მიც.); 20. დარიალ-იდან (მოქ.); ხაზარეთ-ის-კენ (ნათ.); 21. ორაგულ-ებ-ისა-თვის (ნათ.); სამშობლო-ს-კენ (ნათ.); ზღვა-მდე (ვით.); 22. წყარო-დან (მოქ.), გამოქვაბულ-ა-მდე (ვით.); 23. სიკვდილ-ა-მდე (ვით.); ოფლ-ში (მიც.); საწოლ-იდან (მოქ.); 24. საჯავახო

XII საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში, შოთა რუსთაველმა შექმნა „ვეფხისტყაოსანი“ — ნაწარმოები, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს ქმნილებად იქცა. ეს მხოლოდ სიყვარულისა და მეგობრობის პოემა კი არა, ჰუმანისტური იდეალებით გამორჩეული ტექსტია.

„არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცირობა...“ - რუსთაველის ეს სიტყვები დღესაც გვახსენებს, რომ ქართული ენის დაცვა და განვითარება თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა.

რუსთაველმა ქართულ ენაში ძველი და ახალი ენობრივი ფორმები ოსტატურად გააერთიანა. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებაზე - სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ იოანე ავალიშვილისეული ხელნაწერი, რომელიც მე-16 საუკუნის ბოლოსაა გადაწერილი, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს რუსთაველის შემოქმედების ადგილს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ადასტურებს, რომ ეს ნაწარმოები საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემით.

როდესაც თანამედროვე ქართულ ენას ვსწავლობთ, უნდა გვახსოვდეს შოთა რუსთაველის უდიდესი წვლილი. შენ სწორედ იმ ენაზე ლაპარაკობ, რომელზეც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“ — ნაწარმოები, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობაა.

